სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 19 დეკემბერი 2006 №293 (2915) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისულელეა!

მოსკოვის სპარტაკის და ათი მილიონი დოლარის ხსენებაზე ლევან კობიაშვილმა პირველი ეს თქვა

გერმანული შალკეს ქართველი ლეგიონერი რუსეთში გადასვლას გამორიცხავს

იქაც მე ვარ, აქაც მე ვარ

ფიფას მსოფლიო სამეული: კანავარო, ზიდანი, რონალდინიო



კლაუს ტოპმიოლერი: კანავარო, ზიდანი, კლოზე

კახა კალაძე: კაკა, რონალდინიო, კანავარო



ლევან კობიაშვილი მოსკოვის სპარტაკის ათმილიონიანი მიზანი

სახალხო გუნდი სახალხო ტრანსფერს შეეჭიდა

მოსკოვის „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელი ვლადიმირ ფედოტოვი არგენტინელი კლემენტ როდრიგესის შემცვლელზე ფიქრობს.

„მთელი სეზონის განმავლობაში ვლადიმირ გრიგორევიჩი როდრიგესის თამაშით უკმაყოფილო იყო — უამბობს რუსულ გაზეთ „ტვოი დენს“ ინკოგნიტო წყარო — არგენტინელი ხშირად ჩადიოდა თავის სამშობლოში ოჯახური მიზეზების გამო, ივნისში მამა გარდაეცვალა და ოპტიმალურ ფორმაში შესვლა ვერა და ვერ მოახერხა. თან მისი მეუღლე ვერანაირად ვერ შეეგუა რუსეთში ცხოვრებას. ისიც გაითვალისწინეთ, რომ მოსკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში როდრიგესს სიმამრი გარდაეცვალა. ამის შემდეგ მან მტკიცედ გადაწყვიტა რუსეთიდან წასვლა. ფედოტოვმა კი კლუბის სელექციონერებს ახალი ფეხბურთელის მოძებნა დაავალა.“

დიახ, ეს ახალი ფეხბურთელი ლევან კობიაშვილი უნდა იყოს — ასეთია „სპარტაკის“ თავკაცის და ხელმძღვანელობის სურვილი.

გაზეთი „ტვოი დენ“ იმავ წყაროს ეყრდნობა და...

„მოსკოვის „სპარტაკის“ ხელმძღვანელობა მზად არის, გერმანულ „შალკეს“ ქართველი ფეხბურთელის სანაცვლოდ ორი ვარიანტი შესთავაზოს — „წითლები“ „შალკეს“ როდრიგესს და ზედაც ორ მილიონ დოლარს აძლევენ, ან მეორე შემთხვევაში, თუ ამაზე გერმანელები არ დათანხმდებიან, „სპარტაკს“ შეუძლია, კობიაშვილის სანაცვლოდ ათი მილიონი დოლარი გადაიხადოს“ — ამბობს ინკოგნიტო.

ბუნებრივია, გაზეთი ლევანის აზრითაც დაინტერესდა და იქვეა კობის სიტყვები, თუმც სენსაციური წერილის ავტორი მანამდე დასძენს, რომ „შალკეს“ ერთ-ერთ ლიდერს „სპარტაკში“ გადასვლა არც დაუდასტურებია და არც უარუყია...

„მოსკოვში გადასვლის წინადადებით პირადად ჩემთვის არავის მოუმართავს. შეიძლება, „სპარტაკის“ ხელმძღვანელობა პირდაპირ „შალკეს“ ხელმძღვანელებს დაუკავშირდა. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ „სპარტაკი“ მართლა ისურვებს ჩემ შეძენას, ტრანსფერის გამოსყიდვა ძალიან გაუჭირდება, რადგან „შალკესთან“ ახლახან გავაფორმე ახალი კონტრაქტი“ — უთხრა ლევანმა „ტვოი დენს“.

რუსი ჟურნალისტის თქმით, „სპარტაკის“ თავკაცობა თვლის, რომ ქართველ ფეხბურთელს შეუძლია, გუნდის დაცვის ლიდერი გახდეს. „სპარტაკის“ გენერალური დირექტორი სერგეი შავლო კი გვარს არ ასახელებს, თუმცა მიანიშნებს, გამოცდილი ფეხბურთელები გვჭირდებაო...

„ჩვენ გვჭირდება ფეხბურთელები, რომლებიც სერიოზული მიზნების განხორციელებაში დაგვეხმარებიან — ამბობს შავლო — ახალგაზრდები და პერსპექტიული მოთამაშეები ისედაც ბევრი გვყავს. მოკლედ, ერთ-ორ პოზიციაზე მაღალი დონის ფეხბურთელი ძალიან გვინდა“.

ამ საკმაოდ მოულოდნელი და ძნელად დასაჯერებელი წერილის შემდეგ, რა თქმა უნდა, ლევანთან დაკავშირება გადავწყვიტეთ. ბევრი ახსნა არ დაგჭირვებია, რუსული გაზეთი ვახსენეთ თუ არა, კობიმ მაშინვე გაგვარკვია საქმეში...

— ვიცი, რაც უნდა მკითხოთ. პირდაპირ გეტყვით, რომ ეს ძალიან დიდი სისულელეა. არ დაიჯეროთ. არავითარ „სპარტაკში“ გადასვლას არ ვაპირებ.

— ანუ ეს თემა მოგონილია?

— ეგ არ ვიცი. შესაძლოა, „სპარტაკს“ მართლა უნდა ჩემი შეძენა, მაგრამ სხვა საქმეა, მე რა მინდა — „სპარტაკს“ სერიოზულად არც განვიხილავ, აქაც მშვენივრად ვგრძნობ თავს.

— წერილში შენი კომენტარიცაა...

— გუშინ დამირეკა რუსეთიდან ჟურნალისტმა და კომენტარი მთხოვა. ეს ამბავიც მისგან ვიცი.

— და მართლა რომ შემოგთავაზოს „სპარტაკმა“ საკმაოდ მომხიბლავი წინადადება?

Леван является лаконьян кусочком для любого европейского гранда

Клементе Родригес

Клементе Родригес не смог оправдать надежды руководства «Спартака»



В немецком первенстве Леван считается одним из лучших крайних хавбеков

«Спартак» готовит суперобмен

Боссы красно-белых рассчитывают уговорить немецкий «Шальке-04» обменять Кобиашвили на Родригеса.

«Твоему ДНЮ» стало известно, что лидер немецкого «Шальке-04» и сборной Грузии Леван Кобиашвили в грядущем межсезонье может перейти в московский «Спартак».

По нашей информации, главный тренер красно-белых Владимир Федотов считает, что грузинский хавбек станет достойной заменой покидающему команду аргентинцу Клементе Родригесу.

- На протяжении всего сезона Владимир Григорьевич был недоволен игрой Родригеса, - рассказал «ТД» источник. - Из-за того что аргентинец часто летал к себе домой по семейным обстоятельствам - в июне у него умер отец, - он так и не смог набрать оптимальную форму. К тому же семья 25-летнего футболиста так и не смогла привыкнуть к России. В начале сентября в одной из московских больниц окончился тесть олимпийского чемпиона Афин. После этого Клементе твердо решил покинуть нашу страну, а Федотов, в свою очередь, попросил селекционную службу подыскать аргентинцу достойную замену.

Переговоры

По нашим данным, выбор скаутов красно-белых пал на 29-летнего лидера «Шальке» Кобиашвили.

- Боссы «Спартака» готовы предложить немецкому клубу два варианта компенсации за грузина, - продолжил источник. - По первому красно-белые предлагают «Шальке» за Кобиашвили Родригеса плюс два миллиона долларов. В случае, если немцы откажутся, «Спартак» готов заплатить за трансфер Левана, контракт которого с клубом из Гильзенкирхена заканчивается летом 2010 года, десять миллионов долларов.

Сам Леван не подтвердил, но и не опроверг информацию о своем переходе в «Спартак».

- Лично ко мне с предложением перейти в московский клуб пока никто не обращался, - рассказал «ТД» Кобиашвили. - Может, спартаковское руководство общалось напрямую с боссами «Шальке». Но все равно, если «Спартак» захочет видеть меня в своей команде, то ему будет нелегко выкупить мой трансфер, так как совсем недавно я подписал новый долгосрочный контракт с «Шальке».

Карьера

По информации «ТД», руководство «Спартака» считает, что грузинский полузащитник сможет стать лидером обороны. Генеральный директор красно-белых Сергей Шавло рассказал нашей газете, что «Спартак» сделает ставку на опытных футболистов.

- Нам нужны игроки, которые готовы решать серьезные задачи, - сказал Сергей Дмитриевич. - Молодых и подающих надежды у нас и так много. Многие из них уже готовы играть в первой команде. Поэтому будем укреплять некоторые позиции уже состоявшимися футболистами.

— არ მინდა ისე გამომივიდეს, ხვალინდელ დღეზე ვთქვა, ეს ასე მოხდება და ის ისეო. ცხოვრებაში წინასწარ ვერაფერს დაგეგმავ, მაგრამ ახლაც და უახლოეს მომავალშიც ეს გამორიცხულია. ამ თემაზე ლაპარაკი არც მსურს, რადგან სისულელეა და მეტი არაფერი.

— კეთილი. მაშინ „შალკეზეც“ გკითხავ: შეებულება უკვე დაგეწყოთ?

— კი. გუშინ პირველი ეტაპი დასრულდა, მწვრთნელ-ფეხბურთელები ერთმანეთს დავეშშვიდობეთ და ახლა ვისვენებთ.

— არადა, საკმაო შანსი გქონდათ, შეებულებაში ზამთრის ჩემპიონის „წოდებით“ გასულიყავით...

— ძალიან კი ვუქომაგეთ ბოლო ტურში „ვოლფსბურგს“, მაგრამ „ვერდერმა“ მაინც მოიგო და ბურთების უკეთესი სხვაობით გაგვისწრო. ისე, ზამთრის ჩემპიონობაზე მეტად ის უფრო გამახარებდა, რომ „ვერდერის“ ვერმოგების შემთხვევაში, სულ მცირე, ორქულიანი უპირატესობა გვექნებოდა.

— სეზონის პირველი ნახევრით ალბათ მაინც კმაყოფილი იქნები...

— რა თქმა უნდა, უკეთაც შეიძლებოდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილოც არ ვარ.

— საახალწლოდ თბილისში ჩამოსვლას არ აპირებ?

— ჯერ არ ვიცი. შეიძლება, ვერ ჩამოვიდე. თუ მოვახერხე, ორი-სამი დღით აუცილებლად ჩამოვალ.

კახა შალამბერიძე

ცვლილებები? რა თქმა უნდა, იქნება...

რუსთავის „ოლიმპსა“ და რევაზ ძოძუაშვილს შორის კონტრაქტის გაფორმებას საშველი არ დაადგა, თუმცა, როგორც თავად ძოძუაშვილმა გვითხრა, დღეს-ხვალ ყველაფერს წერტილი დაესმება. ძოძუაშვილი კი საქმეს უკვე შეუდგა და გუნდის საშინაო საქმეებშიც ჩაიხედა...

— რა ცვლილებებია „ოლიმპში“ მოსალოდნელი?

— ცვლილებები აუცილებლად იქნება. იმ მიზნისთვის, რომელიც დავისახეთ, გაძლიერება გვჭირდება. მონახაზი უკვე არსებობს, მაგრამ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, კონკრეტული გვარების დასახელებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ.

— „ტორპედოდან“ გამეზარდაშვილის გადაყვანაზე ითქვა...

— რამდენადაც ვიცი, გამეზარდაშვილი მოსამზადებელ ეტაპს „სკონტოსთან“ ერთად გაივლის. მაგრამ თუ „ოლიმპს“ დასჭირდა, არ არის გამორიცხული, ჩემპიონთა ლიგის თამაშებისთვის დავიმატოთ.

— საუბარი კიდევ რამდენიმე ფეხბურთელზე იყო...

— ამ წუთში ისეთ ფეხბურთელებს ველაპარაკებით, რომელთაც მოქმედი კონტრაქტი აღარ აქვთ. რა და როგორ მოხდება, ამას დრო გვიჩვენებს.

— მხოლოდ საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელების შეძენის აპირებთ?

— არ არის გამორიცხული, უცხოეთიდანაც ჩამოვიყვანოთ ფეხბურთელები. ყველაფერი მოსამზადებელ პერიოდში გადაწყდება.

— გუნდი არავის დაუტოვებია?

— ჯერჯერობით წასვლის სურვილი არავის გამოუთქვამს. ან რატომ უნდა წავიდნენ?! გუნდს სერიოზული მიზანი და ამბიცია გაუჩნდა. თუ ვინმეს უკეთესი ვარიანტი გამოუჩნდა, სხვა საკითხია — ამაში ხელს არ შევუშლით.

— შეკრებები სად იგეგმება?

— ზამთრის პერიოდში სრულყოფილი შეკრების გავლა ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ ხელმძღვანელობასთან ერთად ვმუშაობთ და გვინდა, ისეთი ადგილები შევარჩიოთ, რომ ხელი არაფერმა შეგვიშალოს და ნაყოფიერად ვივარჯიშოთ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

საქართველომ ერთით წაინია

ახალ 2007 წელს საქართველოს ნაკრები 94-ე ადგილზე შეხვდება — ასეთია ფიფა-„კოკა-კოლას“ სადეკემბრო რეიტინგი.

საქართველომ ერთი საფეხურით აინაცვლა და სულ 327 ქულა აქვს. ჩვენს მეტოქეთაგან ერთი ადგილით აიწია ლიტვამაც — 70-ედან 69-ეზეა, შოტლანდია კი პირიქით, ჩაქვეითდა და 25-ე ადგილზეა.

საინტერესოა ისიც, რომ იტალია და საფრანგეთი ხუთეულში არიან. რეიტინგს კი, რა თქმა უნდა, ისევ ბრაზილია ლიდერობს, თუმც კონკურენტებთან სხვაობა უკვე იმდენად თვალსაჩინო არ არის, როგორც რამდენიმე თვის წინ იყო. მაშინ ბრაზილიელების ჩამოქვეითებას ვერავინ წარმოიდგენდა, ახლა კი იტალიას და არგენტინას ამის მშვენიერი შანსი აქვთ.

კახა შალამბერიძე



1	1	ბრაზილია	1588				
2	2	*იტალია*	1560	13	13	*უკრაინა*	1054
3	3	არგენტინა	1551				
4	4	*საფრანგეთი*	1523	25	24	*შოტლანდია*	847
5	5	ინგლისი	1359				
6	6	გერმანია	1350	69	70	*ლიტვა*	455
7	7	ჰოლანდია	1305				
8	8	პორტუგალია	1258	94	95	საქართველო	327
9	9	ნიგერია	1244				
10	10	ჩეხეთი	1190	181	185	*ფარერები*	31

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში;
III – ქვეყანა; IV – ქულა

ინგლისი
პრემიერლიგა. XVIII ტური
ფულემი 2:1 მიდლსბრო

გერმანია
II ბუნდესლიგა. XVII ტური
მიუნხენი 4:0 აუე

იტალია
სერია C/B. XVI ტური
რავენა 1:0 ტერამო

პორტუგალია
სუპერლიგა. XIV ტური
ბრაგა 2:2 ბოავიშტა

გურამ დოლიძეგაბელის ფოტო

რევაზ გეწაძე: სკონტო, სიონი ან ისევ ოლიმპი

რუსთავის „ოლიმპის“ გარემარბი რევაზ გეწაძე ერთ-ერთი იმათგანია, გიორგი დევდარიანის დროინდელ „თბილისში“ რომ გამოჩნდა. მას შემდეგ გეწაძეს არც ერთი სეზონი არ ჩაუგდია, „ბორჯომშიც“ გამორჩეული იყო და „ოლიმპშიც“. ზაფხულში გეწაძე დონეცკის „მეტალურგში“ ჩავიდა გასინჯვაზე, თუმცა აქედან არაფერი გამოვიდა... ახლა კი 21 წლის ნახევარმცველს რიგის „სკონტოს“ ვარიანტი გამოუჩნდა და...

„კარგა ხანია, „სკონტოზე“ საუბარი იყო, თუმც ზაფხულში მიღებულმა ტრავმამ ბევრი გამაცდენინა. როცა ტრავმა მოვირჩინე, მაშინ დროც არ მქონდა რიგაში წასასვლელად, სეზონი მიდიოდა. „სკონტოში“ ნაახალწლევს ჩავალ და თავიდან ალბათ გასინჯვაზე ვიქნები, თუმც ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით — შესაძლოა, პირდაპირ კონტრაქტიც გავაფორმო“.

გეწაძე „ოლიმპში“ დარჩენასაც არ გამორიცხავს, თუმცა უფრო უცხოეთისკენ უჭირავს თვალი. რაც შეეხება ბოლნისის „სიონში“ გადასვლას...

„ბოლნისში „თანამეგობრობის თასზე“ თამაშზეა ლაპარაკი, „სიონს“ მოსკოვში გაძლიერებული შემადგენლობით სურს ჩასვლა და ამიტომ უნდა ფეხბურთელების გადაყვანა, მათ შორის ჩემიც“.

ილია ნანოგაშვილი

სამი კი არა, არც ერთი ტუზი

ტორპედოს არც პატრონი ჰყავს და არც მწვრთნელი



გურამ დოლიძეგაბელის ფოტო

იური კვირნაძე

ხმები ქუთაისის „ტორპედოს“ და კომპანია „სამი ტუზის“ თანამშრომლობაზე არ გამართლდა. გუშინ „სამი ტუზის“ ხელმძღვანელს, *ზაურ კვიკვინიას* დავუკავშირდით, რომელმაც „ტორპედოს“ ყიდვა უარყო.

— გუნდი არ მიყიდია. საერთოდაც, ფეხბურთის გულშემატკივარი არ ვარ და ასეთი რამ აზრადაც არ მოშსვლია. უბრალოდ, მე მხოლოდ სპონსორობას ვუწევდი გუნდს...

— სწორედ იმიტომ დაგიკავშირდით, რომ სიმართლე გაგვეგო...

— სიმართლე ისაა, რომ ჩვენს კომპანიას „ტორპედო“ არ უყიდია!

მოკლედ, ქუთაისური გუნდი რთულ მდგომარეობაშია. პრეზიდენტ გრიგოლ ხურციძის განთავისუფლება ჯერაც ვერ ხერხდება, ამას დაემატა „ტორპედოდან“ რევაზ ძოძუაშვილის წასვლაც და რიონისპირელები უმწვრთნელოდაც დარჩნენ. ახლა გუნდი შვებულებაშია, მაგრამ უცნობია, როდის შეიკრიბება და ვისი ხელმძღვანელობით ივარჯიშებს.

ლაპარაკი ოთარ გაბელიას მწვრთნელად დანიშვნაზე შეჩერებულია — გაბელია უფულო და უამბიციო გუნდში მიმსვლელი არ არის.

როგორც შევიტყვეთ, საუბარი იყო ჯემალ ხერხაძის დანიშვნაზეც — ქუთაისის „ტორპედოს“ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელს „ტორპედოში“ ადრეც უმუშავია და მიმდინარე სეზონშიც მწვრთნელთა საბჭოს წევრად ითვლებოდა. თუმც გამორიცხული არც ის არის, „ტორპედო“ ისევ იური კვირნაძემ გაწვრთნას, ვინც ჯერაც მთავარი მწვრნელის მოვალეობის შემსრულებელია.

მიხეილ ჟორჟოლიანი

დღეს ვერის პარკში ტურნირ „ახალი წელი ნარკოტიკების გარეშე“-ს ნახევარფინალური შეხვედრები შედგა. საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბი „თელიანი ველთან“ 0:3 დამარცხდა. „ანაბეჭდმა“ კი „ელექტროკავშირს“ 6:2 სძლია.

ფინალი დღეს 16 საათზე გაიმართება.

დახმარება ოლიმპიდან

გადადებული კრება გადაუდებელი საკითხებისთვის

გუშინ ბოლნისის „სიონის“ გადადებული კრება უნდა გამართულიყო, მაგრამ... კრება ისევ გადაიდო და თან იმავე მიზეზით — კლუბის პრეზიდენტისა და ბოლნისის გამგებლის გიორგი არევაძის მოუცლელობის გამო. თუ კიდევ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, კრება დღეს ჩატარდება.

ამ დროისთვის ბოლნისის „სიონიდან“ ერთი ფეხბურთელი წავიდა — ნახევარმცველი ლევან შავგულიძე, ვინც „სიონმა“ „ზესტაფონიდან“ ინათხოვრა.

„სიონთან“ კონტრაქტი დაუსრულდა მცველ დავით ჭიჭვეიშვილს, თუმც ბოლნისელები მასთან ხელშეკრულების გაგრძელებას ცდილობენ.

„სიონი“ საქართველოს მოქმედი ჩემპიონია და იანვარში მოსკოვში გასამართ „თანამეგობრობის თასზე“ ითამაშებს. ამ ტურნირისთვის „სიონი“ გაძლიერებას აპირებს და დახმარების ხელს რუსთავის „ოლიმპი“ გაუწვდის — ოლიმპელები „სიონს“ რამდენიმე ფეხბურთელს ათხოვებენ „თანამეგობრობის თასისთვის“ და არ არის გამორიცხული, რომ ეს ფეხბურთელები მოსკოვური ტურნირის შემდეგაც დარჩნენ „სიონში“. საკარაუდოდ, „ოლიმპიდან“ „სიონში“ გიორგი კახელიშვილი, გიორგი სეთურიძე და რევაზ გეწაძე გადავლენ. შესაძლოა, „სიონმა“ ისეთი ფეხბურთელებიც დაიმატოს, ახლა უგუნდოდ რომ არიან, მაგალითად, სერგო ორბელაძე და ლევან სილაგაძე. არის იმის ალბათობაც, რომ „სიონს“ მოსკოვში ყარაგანდის „შახტიორის“ ნახევარმცველი ვიტალი დარასელიაც შეუერთდეს.

ერთი სიტყვით, დაველოდოთ დღევანდელ კრებას, თუ ის, რა თქმა უნდა, აღარ გადაიდება.

დავით თავართქილაძე

ზესტაფონი ცივ ზამთარს თბილად დაასრულებს

გურამ დოლიძეგაბელის ფოტო

„ზესტაფონი“ პირველი გუნდია, რომელმაც შვებულების შემდეგ ვარჯიში განაახლა. იმერული კლუბი თბილისში შეიკრიბა და გუშინ „ნორჩი დინამოელის“ მოედანზე ივარჯიშა.

„ზესტაფონის“ რამდენიმე ფეხბურთელს კონტრაქტი რომ დაუმთავრდა, არაერთხელ გაუწყეთ. ყვირილისპირელები გაძლიერებაზეც ფიქრობენ და ამ დეტალების დასაზუსტებლად გუშინ კლუბის პრესტაშეს სერგო ფუტკარაძეს დავუკავშირდით...

„გუნდი სრული შემადგენლობით შეიკრიბა. მართალია, რამდენიმეს კონტრაქტი უკვე დაუმთავრდა, მაგრამ მათთან მოლაპარაკებები მიდის და ისინიც გუნდთან ერთად ვარჯიშობენ. ძირითადი ბირთვის შენარჩუნების გარდა გაძლიერებაზეც ვფიქრობთ. მწვრთნელის აზრით, ერთიორი პოზიცია გაძლიერებას საჭიროებს და ხელმძღვანელობაც რამდენიმე ვარიანტს განიხილავს. ამ ეტაპზე კონკრეტული გვარების დასახელება არ გვინდა, თუმცა მასმედიასთან თანამშრომლობა გვეჭნება და ყოველ შესაძლო ცვლილებას აუცილებლად შეგატყობინებთ“ — გვითხრა ფუტკარაძემ.

ზესტაფონელები რამდენიმე შეკრებას გეგმავენ. პირველი ეტაპი, რომელიც უკვე დაიწყო, ძირითადად ფიზიკურ მომზადებასა და ფეხბურთელთა სამედიცინო შემოწმებას დაეთმობა და 28-29 დეკემბერს დასრულდება. გუნდი ხელმეორედ ნაახალწლევს შეიკრიბება და ბაკურიანში წავა. მესამე ეტაპისთვის კი ისეთ ქვეყანას აირჩევს, სადაც თბილი ზამთარია. იმერლებს დასკვნითი შეკრების გავლის სამი ვარიანტი აქვთ — კვიპროსი, თურქეთი და არაბეთის გაერთიანებული საემიროები.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ლოკომოტივი ვერც ადის და არც ჩადის

გადო კალიანაძის ფოტო

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობა შეიკრიბა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ამირან მინაშვილმა გვითხრა, „ლოკომოტივი“ ყიფიანმა, მენაბდემ, მიხაილიდმა, მხეიძემ, ებანოიძემ და ცხომარიამ დატოვეს — ზოგს კონტრაქტი დაუმთავრა, ცხომარია თავის კლუბ „ვიტ ჯორჯიას“ დაუბრუნდა, ყიფიანი დღე-დღეზე ახალ გუნდში გადავა... ლევან ყენიას ამბავი კი ისედაც ცნობილია — იგი ესპანურ „ლევანტეში“ გააგრძელებს კარიერას.

„კრებაზე დაისახა გეგმა, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობა თამაშის ხარისხის გაუმჯობესებას არსებული რესურსით ითხოვს. ახლა ჩემპიონატში ისეთი სატურნირო მდგომარეობაა, რომ არც საპრიზო სამეულში მოხვედრას გვთხოვენ და ფაქტობრივად, გამოკვეთილია ის გუნდებიც, რომლებიც უმაღლეს ლიგას დატოვებენ. ამიტომ ხელმძღვანელობამ ყურადღება თამაშის ხარისხზე გადაიტანა. ჩვენ საქართველოში „ბარსელონას“ ტალანტების მოძიების პროგრამის ხელმძღვანელობასთან ვთანამშრომლობთ და შედეგიც უკვე გამოჩნდა — ყენია ესპანეთშია. „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობის მთავარი მოთხოვნაა, ჭაბუკთა გუნდს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. იქ რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელია და მათ თავის გამოჩენის საშუალებას მივცემთ. გუნდში სხვა ფეხბურთელებიც ისინჯებიან, რომლებიც ქვედა ლიგებში თამაშობენ. შეკრების პირველ ეტაპს კი თბილისში გავივლით და მერე ზღვისპირეთში წავალთ“ — გვითხრა მინაშვილმა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

გოგუას ყაბარდოული ამბები

გატუზო ნალჩიკს გამწარებით დაემუქრა

„შეადარეთ გოგიტა გოგუა შარშან და წლეულს. მან ძალიან ძლიერი სეზონი ჩაატარა ნალჩიკში, გულშემატკივრებს აღაფრთოვანებდა თავისი სხარტი მოძრაობებით, ორიგინალური დრიბლინგებით, ბრძოლის დაუოკებელი ჟინით და ენერგიით“ — ასე იწყება ერთობ საინტერესო წერილი საქართველოს ნაკრების საყრდენ ნახევარმცველზე, რომელიც ერთ-ერთ ყაბარდოულ გაზეთში დაიბეჭდა.

გუშინ ვწერდით, ნალჩიკის „სპარტაკის“ მწვრთნელ იური კრასნოჟანს იმედი აქვს, რომ გოგუას შეინარჩუნებსო, მაგრამ ჩვენიანს გუნდის გამოცვლა გადაწყვეტილი აქვს...

ყაბარდოულ გაზეთში კი გოგიტაზე არა მარტო საფეხბურთო, მოედნისგარეთა ჩანახატებიცაა...

რაში გაუმართლა ტიერი ანრის?

„გოგუამ შარშანდელი სეზონი „ხიმკიში“ გაატარა. იგი იქაც უყვარდათ გულშემატკივრებს და მათგან თიკუნად „ჰოდმოსკოვიელი გატუზო“ დაიმსახურა. მან შანსად ჩათვალა ნალჩიკში გადასვლა, არადა, შანსი კი არა, გუნდის წამყვანი ძალა გახდა. იური კრასნოჟანმა გარისკა, როცა გოგუა ძირითადში დააყენა, მაგრამ რისკი ხომ ხშირად ამართლებს“.

კრასნოჟანს გოგიტას დამახასიათებელ თამაშის მანერაზე, მომენტალურ ეფექტურობაზეც დაეკითხნენ და მან ასე უპასუხა: „ის ყველა ეპიზოდში ასი პროცენტით იხარჯება, სანახევრო მონდომებით თამაში მისი სტილი არ არის. ხანდახან გოგუას შეცვლა მიწევდა, რადგან ვატყობდი, რომ ძალა ელეოდა. ზოგმა შეიძლება ნაკლად ჩაუთვალოს მას ეს თვისება, მაგრამ მე პლუსად მიმაჩნია — გოგიტას ასეთი ხასიათი, ასეთი ტემპერამენტი აქვს“.

ნალჩიკელთა მცველი ანატოლი სკვორცოვი, რომელსაც ასეთივე ჟინიანი თამაშით იცნობენ, გოგიტაზე ამბობს:

„ის ნამდვილი ტერშინატორია. ორმხრივი თამაშებისასაც ისე სწრაფად დარბის, მოჟაისკამდე (ქალაქი რუსეთში) გამოგეკიდება“.

მივყვეთ წერილს...

„ჰოდმოსკოვიელმა გატუზომ“ ნალჩიკში ტრანსფორმაცია განიცადა და „ყაბარდოელ გატუზოდ“ იქცა. ის არ არის უხეში ფეხბურთელი, მაგრამ მსაჯები თავს იზღვევენ და ორჯერ გააძევეს ამ სეზონში. გოგიტა ამბობს, კიდევ კარგი, როცა გამაძევეს, ის მატჩები არ წაგვიგია, თორემ პარტნიორები რომ ასე დამეღალატებინა, არ ვიცი, ჩემს თავს რა ამბავს ავუტეხავდიო.

...ის არასოდესაა ჩაკარგული საქართველოს ნაკრებში, არადა, ამ შემოდგომაზე მსოფლიო დონის ვარსკვლავებთან მოუწია ჭიდილი. საფრანგეთთან მატჩისას მან მარცხენა მცველად ითამაშა, საფინალო სასტვენის შემდეგ კი ტიერი ანრისთან მივიდა და მაისურა გაუცვალა.

„ანრის გაუმართლა, მას ხომ ახლა ჩემი მაისურა აქვს. მე კი მისი მაისურა სულ ორი წუთი მქონდა, რადგან გასახდელამდე არც ვიყავი მისული, მეგობარმა წამართვა“ — ხუმრობს გოგუა.

და იცით, რა გაუკეთებია გოგიტას მოსკოვის „დინამოსთან“ საშინაო მატჩში?

თამაშის დასრულებამდე წუთებიღა რჩებოდა, როცა ნალჩიკელებმა აუტის მოწოდების უფლება მიიღეს. გოგუა ბურთის მოსატანად გაიქცა და ამ დროს დაინახა თანამემამულე, რომელიც საქართველოს დროშას აფრიალებდა. „გატუზოს“ დროშა გამოურთმევია და... კიდევ კარგი, დროულად მოეგო გონს და გაფრთხილებას გადაურჩა — აი, ასეთია ქართველი საყრდენი.

გოგუა მოედანს მიღმაც პარადოქსული პიროვნებაა: ხან ზღარბივით მჩხვლეტავია, ხანაც კომპანიის სული და გული.

მოსკოვის „ლოკომოტივთან“ რომ გააძევეს, თავის თავს არ ჰგავდა და თანაგუნდელებს უთხრა, მომდევნო თამაშს „რუბინთან“ თუ მოიგებთ, მაგარ სუფრას გავშლიო. „სპარტაკმა“ მოიგო და ქართველმა სიტყვა შეასრულა — თანაც მდიდარი ქართული სამზარეულოთი.

„თუ ფეხბურთით ვერ ვასიამოვნებ კაცს, ქართულ რესტორანს გავხსნი. კარგი ადამიანი ყოველთვის უნდა გაახარო: ან კარგი თამაშით, ანაც კარგი კერძებით“ — ამბობს გოგიტა.

მასალის ბოლო ნაწილი კი ცოტა უსიამოვნოა — სეზონის მილეულს გოგუა არცთუ ლამაზად დაემშვიდობა ნალჩიკსო. კერძოდ...

„იგი ნაკრებში წავიდა სათამაშოდ, ნალჩიკელთა ბოლო ორ მატჩში კი მონაწილეობა არ მიიღო. ვლადივოსტოკის „ლოკომოტივთან“ თამაშის შემდეგ გოგუამ ხმის ჩახლეჩით ეყვირა, გაისად ჩამოვალ ნალჩიკში და გოლს გაგიტანთო...“

მიუხედავად ამ ფაქტისა, წერილის ავტორს არ ავიწყდება ამის თქმა: „გოგუამ ნალჩიკში დიდი სითბო დატოვა და გულშემატკივრებს ძალიან უყვარდათ“...

ასათიანს მესამე შეკრება დაუდგინეს

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი სრული დატვირთვით ვარჯიშს მაშინ შეძლებს, როცა მოსკოვის „ლოკომოტივი“ მესამე შეკრებაზე წავა — განაცხადა გუშინ რკინიგზული კლუბის ექიმმა ალექსანდრე იარდოშვილმა.

ასათიანი ახლა მოსკოვშია, თავს უკეთ გრძნობს და ყოველდღე ტრენაჟორებზე ვარჯიშობს, ნაახალწლევს კი გერმანულ რუიტში მოუწევს ჩასვლა — იქაურმა ექიმებმა ერთხელაც უნდა გასინჯონ.

სავარაუდოდ, გერმანელი მედიკოსები ასათიანს ახალ სავარჯიშო პროგრამასაც შეუდგენენ, რომელშიც აშკარად გაზრდილი იქნება დატვირთვები, „ლოკომოტივს“ კი მალხაზი თებერვლის ბოლოს შეუერთდება.

იარდოშვილის თქმით, წესით და რიგით, ასათიანი ახალ სეზონს სრულ მზადყოფნაში უნდა შეხვდეს...

ლუკა თალაკვაძე

ქართველები უცხოეთში

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	ს	ფიორენტინა 2:2	90		8	1	14
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	არმინია 1:0	80	გააფრთხილეს, შეცვალეს	14	3	2
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	კობლენცი 1:0	88	შეცვალეს	16	2	13
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	ს	კობლენცი 1:0	0	განაცხადში არ იყო	4	0	13
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	ს	რედინგი 2:1	0	ტრავმირებულია	11	0	16
ჰოლანდია. ერედივიზიონი								
შოთა არველაძე	ალკმაარი	შ	გრონინგენი 2:0	16	შეცვლაზე ითამაშა	15	10	2
გოგა გახოკიძე	ტვენტე	შ	ჰერენვენი 5:1	0	ტრავმირებულია	1	0	4
საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა								
ლევან ცქიტიშვილი	პანიონიოსი	ს	აეკ 0:4	45	შეცვალეს	10	0	11
ლევან მაღრაძე	ქსანთი	ს	ირაკლისი 0:1	90		11	0	7

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

კოცნის დაცვა

„ჩელსის“ მენეჯერ ჟოზე მაურინიუს ძალიან მოსწონს პირად მცველთა ის ოდენობა და დაცვის მკაცრი სისტემა, მისი უსაფრთხოების გამო რომ შეუმუშავებიათ. ამბობს, ბავშვებიც ვერ გამისეირნებიაო.

სადღეღამისო დაცვა ჟოზეს და მის ცოლ ტამის ფანებისგან და ავტოგრაფზე მონადირეებისგან იცავს. მაურინიუს ორი შვილი ჰყავს: 9 წლის გოგონა ტიტა და 6 წლის ბიჭი, ზუკა.

„ნორმალური კაცი ასე ფიქრობს: სამუშაოს მოვრჩები და ქუჩაზე გავისეირნებ. მაგრამ მე ეს არ გამომდის. ლონდონში პოპულარული ვარ და ხალხი ყურადღებას მაქცევს. ეს შემაწუხებელია. ვთქვათ, ცოლს ვკოცნი, ანდა მნიშვნელოვან საქმეზე ვლაპარაკობ, უცებ მთელი დუჟინი ხალხი წამომადგება თავს“...

მაურინიუმ პარიზის დისნეილენდში წაიყვანა შვილები და მათ მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ მამასთან ერთად არასდროს წავიდოდნენ სადმე.

„ოჯახი პირველია, საქმე მეორე — ამბობს ჟოზე — კინოში აღარ ვიარო? ბავშვი სკოლაში არ ვატარო? ეს დაცვა მომწონს, შეუმჩნევლად არიან და დასვენების საშუალებას მაძლევენ. ასეა: ცნობილი კაცი ფულს იმაში იხდის, რომ არაცნობილივით იყოს“.

ირაკლი გამყრელიძე

მოიესი მაურინიუსკენ გაიქაჩა

ვინ სად დგას და რა სჭირდება

კვირას ალექს ფერგიუსონს ჩამოუღამდა.

ჯერ ტელევიზორში „ევერტონ“ — „ჩელსის“ უყურა და თამაშის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე ხარობდა, მერსისაიდელები იგებენო. „ჩელსიმ“ იმ 9 წუთში ლამპარდისა და კვლავაც დროგბას გოლებით მოიგო.

მერე „მანჩესტერი“ „აპტონ პარკზე“ სათამაშოდ გავიდა, სადაც „ვესტ ჰემს“ პირველად გამოუძღვა ალან კერბიშლი. „მანჩესტერმა“ მრავალი შანსი გაუშვა ხელიდან, საბოლოოდ კი ნაიჯელ რეო-კოკერის გოლით წააგო და „ჩელსისთან“ სატურნირო სხვაობა 2 ქულამდე შეუმცირდა.

იმედი გამიცრუდა — თქვა ფერგიუსონმა — ბევრი შანსი გავუშვით. გასვლით თამაშებში ეს ხშირად გვემართება და აი, თვალნათელი მაგალითიც, წაგებას არ ვიმსახურებდით. რიგ მომენტებში ფანტასტიკურად ვითამაშეთ. ჩემპიონობისთვის ბრძოლა ამოყვინთვის უნარსაც ნიშნავს.

„ვესტ ჰემს“ მაშინ ვეწვიეთ, როცა გუნდი კბილებდალესილი იყო და ახალ მენეჯერს მთელი გულით მიენდო. თუმცა ჩემპიონობის ბედი დეკემბერში არ წყდება. ბრძოლა იანვარში იწყება. მაშინ გვეცოდინება, ვინ სად ვდგავართ და რა გვჭირდება“.

ირაკლი გამყრელიძე

ერიკსონის გრიპი და მარსელი



სვენ გორან ერიკსონი შესაძლოა, „მარსელის“ მწვრთნელი გახდეს, ოღონდ ჯერ ფრანგული კლუბი ახალმა პატრონმა უნდა ჩაიბაროს. ამბობენ, რომ კანადელ მილიონერს სურს „მარსელის“ ყიდვა და 100 მილიონ გირვანქას იხდისო. ამჟამად სვენ გორან ერიკსონს კონტრაქტი აქვს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან, რომელიც 2007-ის ივნისში იწურება და შვედი კვირაში 45 ათას გირვანქას იღებს. მხოლოდ ამ კონტრაქტის ვადის დასრულების შემდეგ ექნება ერიკსონს „მარსელში“ მუშაობის უფლება.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ფრანგულმა გუნდმა ექვსი მწვრთნელი გამოიცვალა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. ამიტომაც აპირებს კლუბის პატრონი რობერტ ლუი დრეიფუსი „მარსელის“ გაყიდვას.

ინგლისის ნაკრებში ერიკსონის თანაშემწემ ტორდ გრიპმა განაცხადა: „მართალია, რომ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ და საკითხი საბოლოოდ მომავალ წელს გადაწყდება. ამ დროისთვის საფრანგეთში ერთადერთი კარგი გუნდი „ლიონია“, მაგრამ „მარსელიც“ საფეხბურთო ქალაქია.“

სათვალე გაიკეთე, ჟოზე!

ჟოზე მაურინიუს კიდევ ერთი საფეხბურთო მტერი გაუჩნდა.

კვირას „გუდისონ პარკზე“ მოგებული თამაშის პირველ ტაიმში, ისა და „ევერტონის“ მწვრთნელი დევიდ მოიესი ერთმანეთს გაექაჩნენ.

მაურინიუ ლამის მოედანზე შევარდა და მსაჯს ენდრუ ჯონსონის გაფრთხილებას თხოვდა, სპენალტედ ისმუელიანტაო. ეიჯეი „ჩელსის“ მეკარე ილარიოსა და ხალიდ ბულარუზს შუა რისკიანად გაიშხლართა. მაურინიუმ მას „სახიფათო კაცი“ და დიდი „მყვინთავი“ უწოდა, მოიესმა კი მაურინიუს სათვალის გაკეთება ურჩია, ეიჯეი მეკარეს გადაახტა, რათა არ დაეზიანებინაო. მოკლედ გაწევა-გამოწევას შერიგება არ მოჰყოლია.

„საკვირველია, რომ ამას ის კაცი ამბობს, ვისაც გუნდში მსოფლიო დონის სიმულიანტი, დროგბა ჰყავს“ — თქვა მოიესმა.

„პორტუგალიაში ასეთ ფეხბურთელებს უბრალოდ ჭკვიანებს ვეძახით — განმარტა ეშმაკმა მაურინიუმ — მაგრამ ინგლისში სხვა კულტურაა. აქ სიმულაციას ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ. სამი წელიწადია აქა ვარ და მეც ამ კულტურის გავლენის ქვეშ მოვექეცი. ამიტომაც ვითხოვდი ყვითელს“.

ფეხბურთის ასოციაცია კი ამბავს აუცილებლად განიხილავს. თუნდაც იმიტომ, რომ გაშველებაში პოლიციაც კი ჩაერია, რომელიც მაურინიუს ასისტენტ სტივ კლარკს აკავებდა, ხოლო მაურინიუ ხელის ქნევით იწევდა მსაჯისკენ და ყვითელს ითხოვდა.

ირაკლი გამყრელიძე

ფიფამ ირანს ბორკილები აჰყარა

ირანს ფიფამ სანქცია მოუხსნა და ამ ქვეყნის ნაკრები საერთაშორისო ტურნირებში ძველებურად მიიღებს მონაწილეობას. აზიელთა სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ ჟურნალისტებს ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა ამცნო, ირანი კი ამის შემდეგ პირველად აზიის თასის გათამაშებაში ჩაებმება. „ჩვენ ირანის ფეხბურთის ფედერაციასთან შეთანხმებას მივაღწიეთ და მათ ნაკრებს უფლება აქვს, აზიის თასის წილისყრაში მიიღოს მონაწილეობა“ — განაცხადა იოზეფ ბლატერმა.

აზიურ ნაკრებს ფიფამ საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობა ნოემბერში აუკრძალა, როცა სპეციალურმა კომისიამ დაადგინა, რომ ირანის მთავრობა ფეხბურთის ფედერაციის საქმეებში უხეშად ერეოდა. თუმცა სასჯელი მოკლევადიანი გამოდგა, ირანს აზიურ თამაშებზე გამოსვლის უფლება ნოემბერშიც მისცეს.

ფიფას წესდების მეჩვიდმეტე მუხლის თანახმად, მსოფლიოს ფეხბურთის ფედერაცია ვერ დაუშვებს, რომ ცალკეული ქვეყნების მთავრობები თავიანთ ფედერაციებს გავლენის სფეროში აქცევდნენ. „მთავრობის პოლიტიკის მიუხედავად, ფეხბურთის ფედერაციებს თავისუფლად მოღვაწეობის საშუალება უნდა ჰქონდეთ“ — აღნიშნა იოზეფ ბლატერმა.

ლადო ხომერიკი

თავდაზღვეული

დევიდ ბექემი ჯენიფერ ლოპესი

დევიდ ბექემმა 100 მილიონ გირვანქად დაიზღვია თავი.

ეს სპორტის ისტორიაში ყველაზე ძვირი დაზღვევაა. მის სიაში შედის სერიოზული ტრავმები და მძიმე ავადმყოფობები.

ბექზი აქამდეც დაზღვეული იყო, მაგრამ ახლა ფასი გაორმაგა.

ახალ სიაში სერფინგის და მეკლდეურობის დროს მიღებული ხიფათიცაა გათვალისწინებული.

მსგავსი ხარისხის დაზღვევები მხოლოდ მერაია ქერისა და ჯენიფერ ლოპესს ჰქონიათ. თუმცა, მათი დაზღვევები მილიარდიანი იყო, მაგრამ რეალურად ასაღები თანხა მათ კონტრაქტებში ბექემისას უტოლდება.

ბექზის სხვა შემოსავლები ასეთია: 4 მილიონი გირვანქა წლიური ხელფასი მადრიდის „რეალში“. წელიწადში 3 მილიონიანი კონტრაქტი „ადიდასის“ ბუცებთან და გრძელვადიანი 2-2 მილიონიანი კონტრაქტები „პეპსისა“ და „ჟილეტთან“.

ირაკლი გამყრელიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლი, იესო, სამშობლო

„MACEIO, ALAGOAS, TE AMO" (მასეიო, ალაგოაშ, მიყვარხარ) ეწერა გულზე ლუიშ ადრიანუს. საკლუბო მუნდიალის ფინალში „ბარსელონასთან" გამარჯვების გოლის შეგდების შემდეგ „ინტერის" ფეხბურთელმა მაისურა გადაიძრო და მთელმა მსოფლიომ ნახა, ბრაზილიელმა ეს ფიესტა ვის მიუძღვნა — მასეიო ალაგოაშის შტატის ერთ-ერთი ქალაქია, სადაც ლუიშ ადრიანუ დაიბადა და გაიზარდა. შიდა მაისურაზე წარწერა მარტო ამ ფეხბურთელს არ ჰქონია, გულისნადებს დანარჩენებიც გამოხატავდნენ. ზოგს მეუღლის სახელი ეწერა, ზოგი მადლობას იესოს უძღვნიდა, ხოლო ბევრი, ადრიანუს მსგავსად, მშობლიურ ადგილებს უცხადებდა სიყვარულს... საინტერესოა, რომ „ინტერნასიონალის" ფეხბურთელებმა წარწერები მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე გაიკეთეს. პორტუ ალეგრეს გუნდი „ბარსას" დამარცხებაში მტკიცედ იყო დარწმუნებული...

ადრიანუ

კატალონიელებს კი სულ სხვანაირი განწყობა ჰქონდათ. „ეს ტიტული აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ძალიან განვიცდი, რომ „ბარსელონას" საკონტინენტთაშორისო თასი არ აქვს და ყველაფერს გავაკეთებ, რათა გაისად ისევ აქ მოვიდეთ, საკლუბო მუნდიალის ფინალში ვითამაშოთ და თასი ბოლოს და ბოლოს ჩვენ დაგვრჩეს" — აღნიშნა რონალდინიომ მატჩის შემდეგ. კოჭა სევდიანი იყო, თუმცა მხნეობას მაინც არ კარგავდა: „უპირატესობას ჩვენ ვფლობდით, მეტოქეზე მეტი სახიფათო სიტუაციებიც შევქმენით, თუმცა გამარჯვება წილად მაინც „ინტერს" ერგო. რა თქმა უნდა, წაგება მეწყინა, მაგრამ ახლა სასოწარკვეთის დრო არ არის, ესპანეთის ჩემპიონატის და ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე უნდა ვიფიქროთ. დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს ტოკიოში ევროპას ისევ „ბარსელონა" წარმოადგენს". რონისთვის ბოლო ორი-სამი დღე სიხარულის მომტანი არ ყოფილა, საკლუბო მუნდიალზეც დამარცხდა და ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულიც ფაბიო კანავაროს გადასცეს. არადა, ესპანური და იტალიური გაზეთები კარგა ხანია, გაჰყვიროდნენ, ჯილდო ბრაზილიელს არ ასცდებაო.

„ინტერნასიონალს" მთელი მატჩის განმავლობაში მარტო ორი საგოლე ეპიზოდი ჰქონდა, რომელთაგან ერთი კარგად გამოიყენა. ბრაზილიური გუნდი ზუსტად იმ სტილში გვეთამაშა, რასაც მოველოდით — მეტოქემ ოთხმოცდაათი წუთი პრესინგს მიმართა და თავის გამოჩენა მარტო კონტრშეტევისას სცადა. ვწუხვარ, თუმცა ამის გამო დეპრესიაში ჩავარდნას არ ვაპირებ" — თქვა „ბარსელონას" მეკარე ვიქტორ ვალდესმა.

„მძიმე დარტყმა იყო ჩვენთვის. ამ წაგებით ისტორიული შანსი გავუშვით ხელიდან, რადგანაც ჯერ არ ვიცით, გაისად ტოკიოში დავბრუნდებით თუ არა. „ბარსას" ხომ საკლუბო მუნდიალი ჯერ არ მოუგია და გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი შემადგენლობა ისტორიაში შევიდოდა. ბიჭები ძალიან დათრგუნულები არიან" — განაცხადა ხავიმ.

კარლეს პუიოლიც სევდიანი გახლდათ. „ინტერი" ჩვენზე ძლიერი არ ყოფილა. თუ ავებ, ისეთ გუნდთან უნდა წაგვეგო, რომელიც ყველანაირად დაგვჯაბნის და სათქმელი არაფერი გვქნება. ეს თამაში კი... რაც მოხდა, მოხდა, ახლა ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ვფიქრობთ" — თქვა „ბარსელონას" კაპიტანმა „ელ მუნდო დეპორტივოსთან" ინტერვიუში.

პორტუგალიელი დეკუ კი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. „ბარსას" ნახევარმცველს მედიასთან ურთიერთობისას გაღიმების თავიც აღარ ჰქონდა და ჯილდოსთან, „ტოიოტას" ფირმის მანქანასთან ერთად გადაღებულ სურათშიც მას დიდი სიხარული არ ეტყობა. „ბარსელონას" ღლევანდელი შემადგენლობიდან საკონტინენტთაშორისო თასი მხოლოდ სამუელ ეტოოს თუ მოუგია და იმასაც მაშინ, როცა კატალონიელთა მოსისხლე მტრის, მადრიდის „რეალის" ბანაკში ირიცხებოდა (ეტოოს საკლუბო მუნდიალის ფინალურ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია). ფიფას ტექნიკურმა კომისიამ წლევანდელი საკლუბო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დეკუ აღიარა და მიუხედავად სევდისა, პორტუგალიელს რეპორტიორების წინაშე გოგანტური გასაღებით ხელში „ტოიოტასთან" პოზირება მაინც მოუწია. ეს საავტომობილო ფირმა ტურნირის სპონსორია და მუნდიალის დასრულების შემდეგ საუკეთესო მოთამაშეს ჯილდოდ თავის ნაწარმს სთავაზობს — ან „ტოიოტა პრიუსს" ან მის ფულად ეკვივალენტს.

1980 წლიდან, ანუ ტურნირის დაარსებიდან პირველად მოხდა, რომ საუკეთესო ფეხბურთელობა ჩემპიონი გუნდის მოთამაშეს არ მიაკუთვნეს. წლეულს ფიფას კომისიამ „ინტერში" მოსაწონი ვერავინ შენიშნა, „გაუჩოთა" დარლეი არცთუ ისე ცუდი ფეხბურთელია, მაგრამ პირველობა მაინც ბარსელონელს მიაკუთვნეს. დეკუმ ეს ჯილდო „სან პაულუს" მეგოლე მეკარის როჟერიო სენისგან გადაიბარა, ბრაზილიელებმა შარშან „ლივერპული" დაამარცხეს და ტიტულიც წილად როჟერიოს ერგო. „ლივერპული" „ბარსასაც" მალე შეხვდება, ოღონდ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში.

ფინალში დეკუ ისეთი შესამჩნევი არ ყოფილა, როგორც მექსიკურ „ამერიკასთან" ნახევარფინალურ მატჩში გახლდათ. პორტუგალიელს ორი წლის წინაც არ დასცალდა „პორტუსთან" ერთად საკონტინენტთაშორისო თასის მოგება — მაშინ ის ჯერ „ბარსელონას" შემადგენლობაში იყო.

გთავაზობთ იმ ფეხბურთელთა ნამონათვალს, რომელთაც ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება მიუღიათ:

1980	ვიქტორინო („ნასიონალი", ურუგვაი)
1981	ზიკო („ფლამენგო", ბრაზილია)
1982	ჟაირი („პენიაროლი", ურუგვაი)
1983	რენატო გაუჩო („გრემიო", ბრაზილია)
1984	პერკუდანი („ინდეპენდიენტე", არგენტინა)
1985	პლატინი („იუვენტუსი", იტალია)
1986	ალსამენდი („რივერ პლეიტი", არგენტინა)
1987	მაჯერი („პორტუ", პორტუგალია)
1988	ოსტოლასა („ნასიონალი", ურუგვაი)
1989	ევანი („მილანი", იტალია)
1990	რაიკარდი („მილანი", იტალია)
1991	იუგოვიჩი („ცრვენა ზვეზდა", იუგოსლავია)
1992	რაი („სან პაულუ", ბრაზილია)
1993	ტონინიო სერეზო („სან პაულუ", ბრაზილია)
1994	ასადი („ველეს სარსფილდი", არგენტინა)
1995	ბლინდი („აიაქსი", ჰოლანდია)
1996	დელ პიერო („იუვენტუსი", იტალია)
1997	მიოლერი („დორტმუნდი", გერმანია)
1998	რაული („რეალი", ესპანეთი)
1999	გიგზი („მანჩესტერ იუნაიტედი", ინგლისი)
2000	პალერმო („ბოკა ხუნიორსი", არგენტინა)
2001	კუფური („ბაიერნი", გერმანია)
2002	რონალდო („რეალი", ესპანეთი)
2003	დონეტი („ბოკა ხუნიორსი", არგენტინა)
2004	მანიშე („პორტუ", პორტუგალია)
2005	როჟერიო სენი („სან პაულუ", ბრაზილია)
2006	დეკუ („ბარსელონა", ესპანეთი)

კალდერონს კარგი გაგო ექვირა

რამონ კალდერონმა მაურისიო მაკრისთან ვაჭრობაზე უარი განაცხადა. მადრიდის „რეალის" პრეზიდენტს „ბოკა ხუნიორსის" თავკაცის მადა არ მოეწონა — მან სამეფო თეთრებს ფერნანდო გაგოს სანაცვლოდ 23 მილიონი ევრო მოსთხოვა. სააგენტო ეფეეს ცნობით, კალდერონი ოდენ 18 მილიონის გადახდაზე იყო თანახმა. პრეზიდენტს „რეალის" სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩისთვის უთქვამს, არგენტინელებთან გაგოში 18 მილიონ ევროზე მეტი არ გადაიხადოო. შემდეგ მადრიდელები 20 მილიონის გადახდასაც აპირებდნენ, თუმცა სენიორ მაკრიმ აუწია ფასი და მადრიდელთა თავკაცობა განარისხა.

ესპანურ „მარკაში" აღნიშნავენ, რომ თუ „ბოკა ხუნიორსის" პრეზიდენტი არ მოლბება და სატრანსფერო მადას არ მოთოკავს, გაგოზე გარიგება აღარ შედგება. „სანტიაგო ბერნაბეუზე" აცხადებენ, მართალია, ფერნანდო კარგი ფეხბურთელია, მაგრამ არც ისეთი კარგი, მისთვის უზომოდ დავიხარჯოთო.

გაგოს „რეალთან" შეთანხმება გაფორმებული აქვს. მაკრი და კალდერონი რომ არ გაბუტულიყვნენ, არგენტინელი უკვე სამეფო გუნდის ფეხბურთელი იქნებოდა. საკონტრაქტო დეტალებიდან კი ის არის ცნობილი, რომ ფერნანდო (გარიგების წარმატებით დასრულების შემთხვევაში) „ბერნაბეუზე" ექვსი სეზონით გადაბარგდება.

„მხარეები ჯერ ისვენებენ. მალე მოლაპარაკებები განახლდება და იმედია, წარმატებებსაც მივაღწევთ" — განუცხადა „მარკას" არგენტინელი ფეხბურთელის აგენტმა მარსელო ლომბილიამ.

ლადო ხომერიკი

ფერნანდო გაგო

მატერაცი ჯორდანოს: მომეცი ბურთი!

მე ვიცი, რა ჩაიდინე შენ გასულ ზაფხულს

„ინტერისთვის“ „მესინასთან“ გამარჯვება სერია A-ში ზედიზედ მე-9 იყო, რითაც კლუბმა თავის ისტორიაში ახალი რეკორდი დაამყარა. პირველი გოლი სიცილიელებს მარკო მატერაციმ ლამაზი მაკრატელათი გაუტანა. მან ეს გოლი წინა კვირაში დაღუპულ ჟურნალისტ ალბერტო დაგუანოსა და ასევე „იუვენტუსის“ ტბაში დამხრჩვალი ორი ახალგაზრდა ფეხბურთელის — ალესიო ფერამოსკასა და რიკარდო ნერის ხსოვნას მიუძღვნა.

„ჩემი გოლი ძალიან სასიამოვნო იყო, თუმცა ჩემი მთავარი ამოცანაა, მეტოქეებს ხელი შევუშალო გოლის გატანაში და მიხარია რომ „მესინასთან“ ესეც შევძელი. გოლს ალბერტო დაგუანოს ხსოვნასა და მის ოჯახს ვუძღვნი. ასევე „იუვენტუსის“ ორ ახალგაზრდა ფეხბურთელს, რომლებიც ჩვენთან ერთად აღარ არიან. თანაგრძნობას ვუცხადებ მათ ოჯახებს“ — თქვა „მატრიცამ“.

ამ გოლამდე იყო ერთი უსიმოვნო ეპიზოდი — მატერაცი და „მესინას“ მწვრთნელი ბრუნო ჯორდანო წაიჩხუბნენ. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ „მატრიცას“ აუტი უნდა ჩაეწოდებინა, ხოლო სიცილიელთა თავკაცმა მას ბურთი დროულად არ მისცა. მათ ჩოჩქოლში მატჩის არბიტრი ნიკოლა სტეფანინიც მოჰყვა, რომელმაც საბოლოოდ მწვრთნელს წითელი, ხოლო ფეხბურთელს ყვითელი ბარათი უჩვენა.

მარკო მატერაცი: „ახალი წესების თანახმად, ასეთ დროს ბურთს არავინ უნდა შეეხოს, თუმც, არ მინდა, ჯორდანოზე რამე ცუდი ვთქვა. არ ვიცი, რა განაცხადა მან მატჩის შემდეგ, მაგრამ იმედი მაქვს, მოიბოდიშა. მე აუტი უნდა ჩამეწოდებინა, უბრალოდ, ჩემს საქმეს ვაკეთებდი და, ვფიქრობ, გაფრთხილებასაც არ ვიმსახურებდი. ყველამ დაინახა, თუ ვინ იყო დამნაშავე, მაგრამ ამაზე საუბარი აღარ მინდა.“

„ინტერი“ „რომასთან“ შვიდქულიან უპირატესობას ინარჩუნებს და შუა კვირაში მეორე დედაქალაქურ კლუბთან, „ლაციოსთან“ უწევს თამაში. ამ შეხვედრის მოგება ადვილი არ იქნება, მაგრამ მატერაცი ოპტიმისტურადაა განწყობილი. „ეს „ინტერის“ წელი და სეზონია, რადგან სკუდეტო ძალიან გვინდა და დიდი შემართებით ვთამაშობთ. თუმცა მოგებული ჯერ არაფერი გვაქვს, გრძელი გზაა და კონცენტრაცია არ უნდა დავკარგოთ. ვფიქრობ, „ლაციოსთან“ კარგი მატჩი გველის. დედაქალაქელები მშვენიერ ფორმაში არიან და გაგვიჭირდება, მაგრამ მოსაგებად ვითამაშებთ.“

ვთქვათ ისიც, რომ ჯორდანოსა და მატერაცის ინციდენტთან თავისი პოზიცია აქვს „მესინას“, კერძოდ, სიცილიელთა პრეზიდენტ პიეტრო ფრანცას. იგი ძალიან უკმაყოფილოა მსაჯობით.

„ინტერს“ ამ სეზონში იცავენ. გადაწყვეტილია, რომ სკუდეტო „ნეროაძურიმ“ უნდა მოიგოს. შესაძლოა, ეს ლოგიკურიც არის, რადგან მილანელებს ძლიერი გუნდი ჰყავთ, მაგრამ ასე წაგებას არ კიმსახურებდით. პატრიკ ვიეირა გასაგდები იყო და მთლიანობაში მსაჯობა ძალიან ცუდი გახლდათ. ეს აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ინტერესები უმსგავსოდ იქცევიან. რაც შეეხება მატერაცისა და ჯორდანოს ინციდენტს, იმ მომენტში ალესანდრო პარიზი მინდორზე იწვა და თამაშის ცოტა ხნით შეწყვეტა იყო საჭირო. ჯორდანომ ამის გამო შეაყოვნა ბურთი, მას ცუდი განზრახვა არ ჰქონია. მატერაციმ კი, როგორც ყოველთვის, პროვოკაცია მოაწყო. ყველამ ვნახეთ და ვიცით, თუ რა ქნა მან მსოფლიოს ჩემპიონატზე“ — თქვა ფრანცამ.

მატჩის ვიდეოჩანაწერში ისიც ჩანს, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში მატერაციმ „მესინას“ მცველ მარკო ზოროს, რომელსაც ხშირად რასისტულ შეურაცხყოფას აყენებენ, მათ შორის „ინტერის“ ფანებიც, ოავი ჩაარტყა. ამ ყველაფერზე სადისციპლინო კომიტეტი იმსჯელებს.

გიორგი კაკაბაძე



ძამპარინიმ გვიდოლინი გალანძღა

პრიმადონა გვიდოლინი

აი, უცნაური ამბავი: „პალერმოს“ პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ მწვრთნელის, ფრანჩესკო გვიდოლინის წინააღმდეგ გაილაშქრა. ძამპარინის თქმით გვიდოლინი კარგ გუნდს აბნევს.

„ასეთი „პალერმოსი“ მრცხვენია — თქვა პრეზიდენტმა „რომასთან“ 0:4 დამარცხების შემდეგ — რომაელთა თავკაცმა ლუჩანო სპალეტიმ დაამტკიცა რომ კარგი სპეციალისტია, გვიდოლინიმ კი ვერა. მის განკარგულებაში დიდებული გუნდია, ის კი ცუდად ხელმძღვანელობს. მან უნდა დაისვენოს“.

განსაკუთრებით ძამპარინი ანდრეა კარაჩოლოს განაპირა ნახევარმცველად დაყენებას გაუავებია. ამის გამო ხომ დავიდე დი მიკელეს სათადარიგოთა სკამზე მოუხდა დაჯდომა.

„მრჩება შთაბეჭდილება, რომ გვიდოლინის პრიმადონობა უნდა და ამ სურვილის ასრულებისთვის გუნდს შლის“.

საინტერესოა, რომ ძამპარინის გვიდოლინი ერთხელ უკვე ჰყავს გაშვებული, თუმცა გასულ ზაფხულს ისევ უხმო. მერედა, როგორც იტალიურ ფეხბურთში გარკვეულმა ადამიანებმა იციან, სიცილიური გუნდი მესამე დაგილზეა, რაც ჩვეულებრივი ამბავი სულაც არ არის, თუმცა როგორც პრეზიდენტის განცხადებიდან ჩანს, მას მესამეობა არ აკმაყოფილებს.

შეგახსენებთ, რომ „როსანერო“ რამდენიმე კვირის წინ სულაც პირველ ადგილზე იყო, თუმცა შემდეგ საქმე ცუდად წაუვიდა და დღეს „ინტერს“ 11 ქულით ჩამორჩება.

„რა გითხრათ ძამპარინის კრიტიკის პასუხად? შეჩვეული ვარ. იმ თამაშიდან, რომში 0:4 რომ წავაგეთ, მხოლოდ ბოლო 20 წუთს ამოვიღებდი, დანარჩენი 70 წუთის მანძილზე კი ჩვენც გვქონდა ნაღდი საგოლე მომენტები“ — განაცხადა თავის მხრივ ფრანჩესკო გვიდოლინიმ.

ხოლო გამარჯვებული გუნდის მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ, რომელმაც გვიდოლინისგან განსხვავებით, ძამპარინის აზრით, კვირას დაამტკიცა, რომ კარგი სპეციალისტია, ასე თქვა:

„ძნელია ყოველ შეხვედრაში 90 წუთი ერთნაირად ითამაშო. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ გვაქვს შესაძლებლობა „ინტერთან“ სხვაობა შევამციროთ. „პალერმოსთან“ გამარჯვებამ დაგვანახა, რომ ჩვენს გუნდს ნებისყოფა და შემართება არ აკლია“.

რომას ბრაზილიელი ვარსკვლავი ამანტინო მანსინი: „რომაულ დერბიში მტკივნეული დამარცხების შემდეგ ასე გამარჯვება მართლაც ჩვენი ხასიათის დამადასტურებელია. „ინტერი“ დიდი გუნდია, მაგრამ ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ შორია და ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რაც შეიძლება, მეტი ქულა რომ მოვიპოვოთ“.

პაპუნა კედია

კომენტატორი კარდინალი

ერთ მშვენიერ დღეს ვატიკანმა ფეხბურთის გუნდი რომ გააკეთოს და იტალიის ჩემპიონატში გაერიოს არ გაგიკვირდეთ. ნუ, რასაკვირველია, სერია A-ს გუნდებამდე ამაღლება ბრძოლით ექნება მოსაპოვებელი, მაგრამ... ასეა თუ ისე, კარდინალი ტარჩიზიო ბერტონე ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმას აპირებს.

„არ გამოვრიცხავ ვატიკანში ფეხბურთის კლუბის ჩამოყალიბების შესაძლებლობას. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს გუნდი ძლიერი იქნება და „ინტერთან“, „რომასთან“, „მილანთან“, „სამპდორიასთან“ და სხვებთან თანაბრად ითამაშებს“ — უთხრა კარდინალმა საგენტო ansa-ს.

კარდინალი ბერტონე ფეხბურთისადმი თავის სიყვარულს არასდროს მალავდა და გენუის ეპისკოპოსობის პერიოდში მატჩების კომენტირებასაც კი არ გაურბოდა.

ხელი ცხვირში

„ლივორნოს“ კაპიტანმა და ვეტერანმა ლიდერმა კრისტიანო ლუკარელიმ „ლაციოსთან“ მატჩში თავისი მორიგი გოლი გაიტანა, რამაც ტოსკანელებს ქულა მოუტანა. თუმცა იქამდე იგი გასაგდები იყო, რადგან რომაელთა ფორვარდ გორან პანდევს ცხვირში ხელი ჩაარტყა. ეს ეპიზოდი მსაჯებს გამორჩათ, მაგრამ ვიდეოკამერებს არა და ლუკარელის ალბათ სასჯელი არ ასცდება.

„ლუკარელი ძალიან ცუდად მოიქცა. სპორტსმენს ამგვარი გამოხტომები არ ეკადრება. უბრალოდ, პანდევი გოლს ზეიმობდა და არაფერი ცუდი არ გაუკეთებია. საბოლოოდ, „ლაციო“ ტყუილად კიდევ ერთხელ დაისაჯა. ლუკარელი რომ გაეგდოთ, ალბათ მოვიგებდით კიდეც“ — განაცხადა „ბიანკოჩელესტის“ პრეზიდენტმა ჭლაუდიო ლოტიტომ.

„ლაციოს“ მწვრთნელი დელიო როსი: „ლუკარელის პატივისცემის გამო არ მინდა ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება. ვიდეოჩანაწერში ისედაც ყველაფერი კარგად ჩანს. დერბიში იმდენი ძალა დავხარჯეთ, რომ „ლივორნოსთან“ ცოტა გაგვიჭირდა. ახლა ეს მატჩი მთლიანად უნდა დავივიწყოთ და „ინტერთან“ მომავალ რთულ შეხვედრაზე გადავერთოთ. ასე ავჯობებს“.

კოკი კანდელაკი



„ლივორნოს“ კაპიტანმა კრისტიანო ლუკარელიმ გორან პანდევისკენ გაიწია

ნიშნები რაულის ჟურნალში
კანავარო ფრიადოსანია

მადრიდის „რეალის“ კაპიტანმა რაულმა თანაგუნდელ ფაბიო კანავაროს ხუთი ქულა დაუწერა, სამი ბარსელონელ სამუელ ეტოოს, ხოლო „არსენალის“ ტიერი ანრის ერთი. სამეფო თეთრების მეშვიდე ნომერი ფიფას ვერსიით წლის საუკეთესო ფეხბურთელის არჩევაში მონაწილეობდა და თავისი ხმის უფლება ფაბიო კანავაროს სასარგებლოდ გამოიყენება. რაულმა ჟურნალისტებს თავის არჩევანი მაშინ გაუმხილა, როცა ბარახას აეროპორტში ციურიხში გასაფრენად ემზადებოდა — ფიფამ 2006 წლის მუნდიალზე ფეარ პლეისთვის ჯილდო ესპანეთის ნაკრებს მისცა, დაჯილდოების ცერემონიალზე კი ნაკრების კაპიტანი გახდათ.

რაულის რჩეულები 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ფაბიო კანავარო, „ბარსელონას“ ტრავმისგან ნატანჯი ჩაუქი კამერუნელი ეტოო და „მეთოფე“ ჯადოქარი ტიერი ანრი გამოდგნენ.

„სანტიაგო ბერნაბეუს“ კერპს არც ზიდანი გახსენებია და არც რონალდინიო, ფეხბურთელები, რომლებიც ფიფამ წელს სამეულში შეიყვანა. კანავარომ რომ ჯილდო მოიგო რაულს ძალიან უხარია და აცხადებს, FIFA WORLD PLAYER-ის ტიტული ღირსეულ კანდიდატს ერგოო. „კანავარო სამართლიანად გახდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი. აქ ხმას ნაკრებების კაპიტნები და მწვრთნელები აძლევენ, მათ კი ყველაზე ღირსეულის შერჩევა არ გაუჭირდებათ“ — აღნიშნა გონსალეს ბლანკომ.

„ვერავინ უარყოფს, რომ კანავარომ მუნდიალზე ბრწყინვალედ ითამაშა, „იუვენტუსშიც“ შესანიშნავი გახლდათ და ცუდად არც „რეალში“ გამოიყურება. კაპიტნები და მწვრთნელები სამართლიან გადაწყვეტილებამდე მივიდნენ. ძალიან მიხარია, რომ ჯილდო ჩემმა თანაგუნდელმა მოიგო, ასევე ზინედინ ზიდანის წარმატებასაც მივესალმები“ — განაცხადა რაულმა.

სამეფო თეთრების კაპიტანმა ჟურნალისტებთან იმ თვისებებზე ისაუბრა, რომლებმაც იტალიელ მცველს ამდენი წარმატება, „ოქროს ბურთი“ და ფიფას ვერსიით საუკეთესო ფეხბურთელობა მოუტანა: „კანავარო სამაგალითო პიროვნული თვისებებით და ხასიათით გამოირჩევა. იგი უაღრესად საჭირო მოთამაშეა, რომელიც თანაგუნდელებს საბრძოლველად განაწყობს. ჩემპიონი გუნდისთვის კანავაროსნაირი ფეხბურთელები აუცილებელია. ეს 2006-ის მუნდიალზე იტალიის წარმატებამაც დაამტკიცა. ფაბიომ მსოფლიოს ჩემპიონატზე შესანიშნავად ითამაშა, როგორც მცველი, ბრწყინვალე იყო და გუნდური სულისკვეთების განმტკიცებასაც ხელს უწყობდა. კანავარო ტრავმებს არ უშინდება და ცდილობს, მოედანზე თავისი საქმე პირნათლად შეასრულოს“.

ლადო ხომერიკი

ბებრები სამნი დავრჩით: მე, კანი და სალიჰამიჯიჩი
შოლმა შოლის წასვლა გაზეთიდან გაიგო

„ჩემი „ბაიერნი“ მარად და მარად მაოცებს — გაშალა რამდენიმე დღის წინ ხელები მეჰმეთ შოლმა და საამისოდ მიზეზიც ჰქონდა. რა მიზეზი? აი, ასეთი: კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა და მენეჯერმა ული ჰიონესმა წინა კვირაში, „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „მომავალი წლის ზაფხულზე შოლი კარიერას ამთავრებს“. მოკლედ, მიუნხენელთა 36 წლის ნახევარმცველმა გაზეთიდან გაიგო, რომ ფეხბურთის თამაშს თავს ანებებს.

„სხვათა შორის, ისევე როგორც რამდენიმე წლის წინ, ამა წლის მაისშიც „ბაიერნმა“ ჩემთან კონტრაქტი განაახლა და ეს ამბავი მერელა შემატყობინა. მოკლედ, ჩემს გაოცებას ბოლო არ უჩანს“ — იღიმებოდა შოლი.

თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს, ნახევარმცველი სულაც არ არის წინააღმდეგი 2007 წელს მართლა რომ დაანებოს ბურთაობას თავი.

„ჩემი და კლუბის შეხედულებები ამ შემთხვევაში ემთხვევა. დროა წავიდე. „ბაიერნს“ ახლა თაობათა ცვლის პერიოდი უდგას, ბებრები კი სამად სამი დავრჩით, მე, კანი და სალიჰამიჯიჩი. ამ სამეულიდან მე პირველი მივდივარ, თუმცა იმის პირობასაც ვდებ, რომ ზამთრის არდადეგების შემდეგ პედალს ერთი კარგად მიაწვები“.

პირველი წრის ბოლოს კუნთატკენმა შოლმა ველარ ითამაშა. სწორედ ამ ტრავმამ ათქმევინა ჰიონესს მეჰმეთი ფეხბურთიდან მიდისო. და განა მარტო ბოლო ტრავმაა დამნაშავე? ბოლო წლებია, შოლი ათასი ჯურის ტკივილმა დატანჯა. მოკლედ, მართლაც წასვლის დროა.

შოლი „ბაიერნში“ 1992 წელს მივიდა და „საკულტო ფიგურად“ იქცა. კარიერის მანძილზე იგი გახდა ევროპის ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, რვაჯერ მოიპოვა ბუნდესლიგის ჩემპიონის ტიტული, ექსჯერ თასი მოიგო, სულ გერმანიის ჩემპიონტში 384 თამაში ჩაატარა, რომელთაგან წინა გუნდში, „კარლსრუეში“ მხოლოდ 58, და 97 გოლი შეაგდო.

გარდა ამისა მნიშვნელოვანია ის, რაც სტატისტიკის მიღმა რჩება — შოლი მარად შემტევ, ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა. იგი ცნობილია, როგორც ტექნიკური ფეხბურთელი, საჯარიმო დარტყმების უბადლო შემსრულებელი. და კიდევ, მეჰმეთი, თავისი აღმოსავლური გარეგნობით ბევრი გერმანული გოგონას ოცნების კაცად რქცა. ის ყოველდღიურად იღებს ათობით წერილს მასზე უიმედოდ შეყვარებული გოგონებისგან. მოკლედ არაში და „ბლესტიაშჩიე“ აკლია და შეუბერე „ვასტოჩნიე სკაზკი“.

გასულ სეზონში შოლს მეორე ახალგაზრდობა ეწვია. ის შეცვლაზე შედიოდა და ხშირად თამაშების ბედს წყვეტდა. ერთი სიტყვით, შოლის შემყურე გულშემატკივარმა კლინსმანისგან მისი ნაკრებში გამოძახება და მსოფლიოს ჩემპიონატზე წაყვანაც კი მოითხოვა. კლინსმანმა, როგორც იცით, უარი თქვა და ალბათ, მართალიც იყო.

ასე და ამგვარად შოლი მიდის, ჰიონესი კი აგვისტოში „ბარსელონასთან“ გამოსათხოვარ თამაშს პირდება. და კიდევ, კარიერის დამთავრების შემდეგ უმუშევარი რომ არ დარჩეს, კლუბში ახალგაზრდების მწყემსვას ჩაბარებენ.

პაპუნა კედია



AFP

კონკრეტული ჰიცფელდი
ვაცკე: უნდა თუ არ უნდა?

„დორტმუნდს“ მწვრთნელად ოტმარ ჰიცფელდი უნდა, რომელმაც „შავ-ყვითლებს“ ორჯერ ბუნდესლიგა, ერთხელ კი ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა. „დიახ, ეს მართალია, ჩვენ ჰიცფელდს კონკრეტული წინადადება შევთავაზეთ — განაცხადა კლუბის დირექტორმა ჰანს-იოახიმ ვაცკემ — ახლა მოვიცდით და გავიგებთ, სურს თუ არა მას ჩვენთან მუშაობა.“

ამჟამინდელი მწვრთნელი ბერტ ვან მარვიკი გუშინ მოხსნეს. ჰოლანდიელს კონტრაქტი 2008 წელს ეწურებოდა, მაგრამ გუნდში აღარ დაედგომებოდა. მან ხომ ორი წლის განმავლობაში „დორტმუნდი“ მეშვიდე ადგილზე მაღლა ვერ აიყვანა. რაკი ვან მარვიკი გუშინ გაათავისუფლეს, ცხადია, გუნდს ახალი მწვრთნელი სჭირდება. მითუმეტეს, მის ხელში „დორტმუნდი“ არც ამ სეზონში ბრწყინავდა. პირველი წლის ბოლო ტურში გუნდი შინ „ლევერკუზენთან“ დამარცხდა 1:2 და მეცხრე საფეხურზე დაეშვა.

ოტმარ ჰიცფელდი „დორტმუნდში“ 1991-1998 წლებში მუშაობდა. ზედიზედ ორჯერ (1995, 1996) ბუნდესლიგის ჩემპიონი გახდა, ხოლო 1997-ში ჩემპიონთა ლიგა მოიგო. შემდეგ „ბაიერნი“ ჩაიბარა და იქაც ბლომად ჯილდოები მოაგროვა. ოთხჯერ ბუნდესლიგაში პირველობა არავის დაუთმო, 2001 წელს კი კვლავ ჩემპიონთა თასი ასწია. გერმანული მედიის ცნობით, სამუშაო „ჰამბურგმაც“ შესთავაზა, რომელიც ბოლოსწინა დაგილზეა და თომას დოლის გათავისუფლებას აპირებს, მაგრამ ჰიცფელდმა ცხობას ჭორი უწოდა: „ტყუილია, არავითარი შემოთავაზება არ მქონია „ჰამბურგისგან“ და ამ გუნდის მწვრთნელობა არ მაინტერესებს.“

ირაკლი ნინიძე

ადრიანო დეკემბრელი

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის ცხრაათვიანი დისკვალიფიკაცია, რომლის ვადაც 2007 წლის 14 აპრილს იწურებოდა, შეუმცირეს. იტალიის ოლიმპიური კომიტეტის საარბიტრაჟო სასამართლოში შეტანილმა აპელაციამ გაჭრა, 23 დეკემბრის მერე გალიანის შეუძლია, თავისუფლად გააგრძელოს თავისი საქმიანობა.

პირვანდელი განაჩენით, „ლეგა კალჩოს“ ყოფილ პრეზიდენტს 17,800 გირვანქის გადახდაც დაეკისრა. ეს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სასამართლომაც ძალაში დატოვა. გალიანიმ იტალიის ფეხბურთის ფედერაციას 30 დღის მანძილზე უნდა გადაუხადოს ეს თანხა, რომელიც ახალგაზრდა ფეხბურთელების განვითარებას მოხმარდება.

გიორგი ქაქაბაძე

ბავშვები ბავშვების წინააღმდეგ

თეო უოლკოტი

„ლივერპულის“ მწვრთნელი რაფა ბენიტესი ვარაუდობს, რომ დღეს, ლიგის თასის მეოთხედფინალში, მისი გუნდის წინააღმდეგ, „არსენალი“ ყმაწვილკაც თეო უოლკოტს ათამაშებს.

მიმომხილველებიც დაახლოებით ამას ვარაუდობენ. მეტიც, ისინი შორს მიდიან და ამბობენ, რომ როგორც „არსენალი“ ასევე „ლივერპული“, ახალგაზრდებით სავსე შემადგენლობებს დაუპირისპირებენ ერთმანეთს.

„არსენალის“ ნიჭიერმა თინეიჯერებმა „ლივერპულის“ მეზობელი „ევერტონი“ ამ სეზონში უკვე დაამარცხეს, ლივერპულელთა ახალგაზრდები კი ამდენად ნიჭიერები, როგორც ჩანს, არ არიან. გარდა ამისა, რაფა ბენიტესს ჰყავს ისეთი ვეტერანები, რომელთაც იშვიათად უწევთ ძირითად შემადგენლობაში თამაში და სავარაუდოდ „არსენალის“ წინააღმდეგ მათაც ვიხილავთ. კერძოდ, რობი ფაულერსა და ირჟი დუდეკს ვგულისხმობთ.

ბენიტესი: „არსენალს“ მართლა ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები ჰყავს. თუნდაც იგივე უოლკოტი რად ღირს. ჩვენთვის კარგად არის მათი შესაძლებლობები ცნობილი. ლიგის თასის მეოთხედფინალამდე ხომ სწორედ ისინი მივიდნენ, ასე რომ, აშკარაა, მათთან ბრძოლა ადვილი არ იქნება. არადა, ლიგის თასი ის შეჯიბრებაა, რომელიც ჩვენთვის სულერთი არ არის, ჩვენ მისი მოგება გვინდა. ჩვენ საერთოდ, ყველა შეჯიბრებაში გამარჯვება გვინდა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ შემადგენლობის შეცვლა მოგვიწევს. ზოგ ჩვენთაგანს დასვენება სჭირდება, მითუფრო, რომ შობა მოდის და უამრავი თამაში გვიგროვდება“.

პაპუნა კედია

ლემანის ფურცელი გულებს უწამლებს

გეხსომებათ ის ამბავი, მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანია-არგენტინის მეოთხედფინალურ მატჩში პენალტებისას იენს ლემანს ფურცელი რომ მიაწოდეს. მასზე რამდენიმე არგენტინელი ფეხბურთელის გვარი და პენალტის დარტყმის სავარაუდო მიმართულება ეწერა. თითქმის ყველაფერი სწორი იყო და ეს ფურცელი ლემანს თერთმეტმეტრიანების მოგერიებასა და „ნაციონალმანშაფტის“ ნახევარფინალში გაყვანაში დაეხმარა.

ფანქრით იყო ნაწერი. ლემანი მას წინდაში ინახავდა, რის გამოც ფურცელი ოფლისგან დასველდა და ახლა ძნელად, მაგრამ მაინც იკითხება.

ჰოდა, ეს ფურცელი ლემანმა აუქციონზე ერთ მილიონ ევროდ გაყიდა. იგი ელექტროენერგიის ერთ-ერთმა კომპანიამ შეიძინა და ბონში არსებულ გერმანიის მუზეუმს გადასცემს. ფული კი გულით დაავადებული ბავშვების მკურნალობას მოხმარდება.

„იმ მომენტში ამ ფურცლის მნიშვნელობა მთლად კარგად არ მქონდა გააზრებული, მაგრამ ფაქტია, რომ იგი ძალიან დამეხმარა“ — თქვა ლემანმა.

კოკი კანდელაკი

არსენალი დორტმუნდით იკვეხვება

გერმანიის ნაკრების ვეტერანმა მეკარემ იენს ლემანმა შეიძლება სეზონის ბოლოს „არსენალი“ დატოვოს. საქმე ის არის, რომ 37 წლის გოლკიპერს „მეთოფეებთან“ კონტრაქტი მომავალ ზაფხულს ეწურება, „არსენალის“ მწვრთნელ არსენ ვენგერს კი კარგა ხანია, წესად აქვს შემოღებული, რომ 30 წელს გადაცილებულ მოთამაშეებს კონტრაქტის გახანგძლივებას მხოლოდ ერთი წლით სთავაზობს. ეს ლემანს არ აკმაყოფილებს, მას უფრო ხანგძლივი შეთანხმების გაფორმება სურს და ამის გამო წასვლაზე ფიქრობს.

ლემანის მსურველი ესპანური „სევილიაა“, რომელიც მზად არის, მასთან 2009 წლამდე გააფორმოს კონტრაქტი. „არსენალი“ კი ლემანთან მოლაპარაკების გაგრძელებას ახალ წელს აპირებს.

„ასეთ საკითხებზე ფეხბურთელებთან ყოველთვის იანვარში ან თებერვალში ვსაუბრობთ ხოლმე. ლემანთანაც ეგივეს გავაკეთებთ. მას ჩემს გეგმებსა და აზრს გავუზიარებ, მაგრამ ნამდვილად ვერ გეტყვით, დარჩება თუ არა იგი. ერთი რამ კი ვიცი, იენსმა ხვალვე რომ გააფორმოს „სევილიასთან“ კონტრაქტი, სეზონის ბოლომდე „არსენალის“ ერთგული იქნება და მინდორზე ბოლომდე დაიხარჯება. მას უკვე კარგად ვიცნობ და ამის თქმის საფუძველიც მაქვს“ — განაცხადა ვენგერმა.

თუ ლემანი წავა, რომელიც „არსენალმა“ 2003 წელს „დორტმუნდიდან“ შეიძინა, „მეთოფეები“ ისევ ბორუსიელებს მიმართავენ და მათი 26 წლის მეკარის რომან ვაიდენფელერის ყიდვას შეეცდებიან. იგი გერმანიის ნაკრებში ლემანის შემცვლელად მოიაზრება. ვაიდენფელერს „ნაციონალმანშაფტში“ ჯერ არ უთამაშია, მაგრამ სავარაუდოდ თებერვალში შვეიცარიასთან ამხანაგური მატჩისთვის იოაჰიმ ლიოვი მას გამოიძახებს.

ვაიდენფელერს „დორტმუნდთან“ კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს, თუმცა თუ გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, მისი შეძენა მომავალ ზაფხულს 3 მილიონ გირვანქად იქნება შესაძლებელი.

კოკი კანდელაკი

ჩადგება რომან ვაიდენფელერი „არსენალის“ კარში?

რუსო მოსულა



არგენტინული „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელი მიგელ ანხელ რუსო გახდა. მან ამ პოსტზე რიკარდო ლა ვოლპე შეცვალა. მექსიკის ნაკრების ყოფილ თავკაცს პირობა ჰქონდა დადებული, თუ ჩემპიონობას ვერ მოვიპოვებთ, გადავდგებიო. მას არც ფეხბურთელებთან ჰქონდა იდეალური ურთიერთობა. შეგახსენებთ, რომ „ბოკამ“ ბოლო ტურებში გაანიავა უპირატესობა და საბოლოოდ „ესტუდიანტესთან“ პირველობისთვის გადათამაშებაში დამარცხდა.

50 წლის რუსო აქამდე „ველეს სარსფილდს“ წვრთნიდა, მაგრამ „ბოკას“ წინადადებას დაუყოვნებლივ დათანხმდა. რაც შეეხება ლა ვოლპეს, ჯერ უცნობია, თუ რომელ კლუბში ან ნაკრებში გააგრძელებს იგი კარიერას. „დიდი სიამოვნებით ვეგებები რუსოს, რომლის მუშაობასაც დიდი ხანი ვაკვირდებოდით. მას წარმატებებს ვუსურვებთ. დიდ მადლობას ვუხდით „ველესს“, რომელმაც მიგელ ანხელს პრობლემები არ შეუქმნა და ჩვენთან გადმოსვლის უფლება მისცა“ — თქვა „ბოკა ხუნიორსის“ პრეზიდენტმა მაურისიო მაკრიმ.

გიორგი კაკაბაძე

ველით ველოსოს

პორტუგალიური „ა ბოლას“ ცნობით, მადრიდის „ატლეტიკო“ ლისაბონის „სპორტინგის“ ფეხბურთელ მიგელ ველოსოს შეძენითაა დაინტერესებული. „ათლეტთა“ აგენტები პორტუგალიურ სუპერლიგის მატჩებს ყურადღებით აკვირდებიან და ველოსოს მოედანზე ჩაუქმა თვალთახედვის მიღმა არ რჩებათ.

„ა ბოლა“ გვამცნობს, რომ „ატლეტიკოს“ წარმომადგენლები შაბათს „ჟოზე ალვადეზე“ გამართულ მატჩს დაესწრნენ, სადაც „სპორტინგი“ კოიმბრას „აკადემიკას“ ეომა. მიგელ ველოსომ ის შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა.

„სპორტინგის“ ნახევარმცველს ლისაბონურ გუნდთან თანამშრომლობა 2008 წლამდე უწევს. თუ მიგელ ველოსომ გუნდთან ხელშეკრულება არ გაახანგრძლივა, მომავალ სეზონში მას „ატლეტიკო“ ხელში მუქთად ჩაიგდებს. ამიტომაც მადრიდელები, ფეხბურთელის „სპორტინგის“ თავკაცობასთან საკონტრაქტო მოლაპარაკებებსაც თვალყურს ადევნებენ.

პორტუგალიური მედიის ვერსიით, ველოსო ახლა „სპორტინგთან“ კონტრაქტის კიდევ ექვსი წლით გახანგრძლივებაზე თათბირობს. თუმცა მადრიდის „ატლეტიკოს“ მოთამაშესთან სიტყვიერი შეთანხმების გაფორმება სურს, რომლის თანახმადაც, მიგელმა ესპანური „ჟესენტე კალდერონის“ არენას მომავალ სეზონში უნდა მიაკითხოს.

მიგე ლუიშ პინტუ ველოსო ოცი წლისაა, ფიზიკურად ძლიერია და ნახევარდაცვისა და დაცვის ცენტრში თამაშს ერთნაირად ლაზათიანად ახერხებს.

ლადო ხომერიკი

სახლის ბატონ-პატრონი

მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსანი გერმანიის ნაკრები ამ ქვეყნის სპორტულმა ჟურნალისტებმა წლის გუნდად დაასახელეს. ყოველწლიურ გამოკითხვაში იურგენ კლინსმანის ბუნდესნაკრებმა 4,165 ქულა მოაგროვა და გვარიანად ჩამოიტოვა კონკურენტები. უკვე მერვედ მოიგო გერმანიის ეროვნულმა გუნდმა ეს ჯილდო, ხოლო დაჯილდოების ცერემონიალი ბადენ-ბადენში გაიმართა. „ისინი ყველაზე მეტად იმსახურებდნენ პრიზს — განაცხადა ფრანც ბეკენბაუერმა — მათ ყველას აჩვენეს, თუ ვინ იყო სახლში ბატონი“.

ნაკრებმა ჯილდო მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგაც მიიღო, როცა ფინალში ბრაზილიასთან დამარცხდა და ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე ტრიუმფის მერეც.

წლის სპორტსმენის ტიტული კაცებში ბიატლონისტმა მიხაელ გრაისმა მოიგო, რომელმაც ტურინის ზამთრის ოლიმპიადაზე სამი ოქრო მოიხვეჭა, ხოლო წლის სპორტსმენ ქალად ასევე ბიატლონისტი, ოლიმპიადის ერთი ოქროსა და ორი ვერცხლის მომგები კატი ვილჰელმი დაასახელეს. მიხაელ გრაისმა ქულებით (3,126) გაასწრო მიხაელ შუმახერს (1,645)

ირაკლი ნინიძე

სარგებელი ᲓᲘᲐᲜᲐ კროკერ

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I ლიგა						
		19 დეკემბერი						
23:45	29	ნორთჰემპტონი-ლეიტონი	2.00	3.20	3.45	1.23	1.26	1.66
23:45	440	ტრანმერე-ქრიუ	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
		ინგლისი. კონფერენსი						
		19 დეკემბერი						
23:45	54	კემბრიჯი-სტ.რეინჯერსი	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		19 დეკემბერი						
23:30	439	ისტ.სტირლინგი-პერიკი	4.80	3.70	1.55	2.08	1.17	1.09
		იტალია. სერია A						
		20 დეკემბერი						
23:30	77	ატალანტა-უდინეზე	2.25	3.00	3.20	1.28	1.32	1.54
23:30	78	კალიარი-ფიორენტინა	3.10	2.90	2.40	1.49	1.35	1.31
23:30	79	კიევო-რეჯინა	2.25	2.90	3.45	1.26	1.36	1.57
23:30	80	ემპოლი-სიენა	2.00	3.00	4.00	1.20	1.33	1.71
23:30	81	ლაციო-ინტერი	3.50	3.00	2.10	1.61	1.31	1.23
23:30	82	მესინა-პარმა	2.20	2.90	3.50	1.25	1.35	1.58
23:30	83	მილანი-კატანია	1.27	4.60	10.50	1.00	1.13	3.19
23:30	84	პალერმო-ასკოლი	1.25	4.80	12.00	1.00	1.13	3.42
23:30	85	სამპდორია-ლიეორნო	2.00	2.90	4.10	1.18	1.34	1.69
23:30	86	ტორინო-რომა	4.20	3.10	1.90	1.78	1.30	1.17
		იტალია. სერია B						
		19 დეკემბერი						
23:30	100	არეცო-კროტონე	2.40	2.70	3.10	1.27	1.35	1.44
23:30	101	ბარი-რიმინი	2.10	2.90	3.50	1.21	1.31	1.58
23:30	102	ბოლონია-იუვენტუსი	3.85	3.00	1.95	1.68	1.29	1.18
23:30	103	ჩესენა-ტრევიზო	1.80	2.90	4.80	1.11	1.30	1.80
23:30	104	ფროსინონე-ვერონა	1.90	2.80	4.40	1.13	1.32	1.71
23:30	105	მანტოვა-მოდენა	1.80	2.80	5.20	1.09	1.33	1.82
23:30	106	ნაპოლი-ბრეშა	1.75	2.70	6.00	1.06	1.35	1.86
23:30	107	პესკარა-პიაჩენცა	4.20	2.80	1.95	1.67	1.33	1.14
23:30	108	სპეცია-ლუჩე	1.85	2.80	4.80	1.11	1.33	1.76
23:30	109	ტრიესტინა-ჯენოა	2.85	2.70	2.60	1.38	1.35	1.32
23:30	110	ვიჩენცა-ალბინოლეფე	2.45	2.60	3.20	1.26	1.38	1.43
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		19 დეკემბერი						
23:45	141	ბილბაო-სარაგოსა	2.65	3.20	2.50	1.44	1.28	1.40
23:45	152	ვალენსია-მალიორკა	1.35	4.20	8.50	1.02	1.16	2.81
		20 დეკემბერი						
23:00	144	სელტა-სოსიედადი	1.75	3.30	4.60	1.14	1.26	1.92
23:00	145	სეტაფე-ესპანიოლი	2.15	3.10	3.20	1.26	1.28	1.57
23:00	146	ტარაგონა-ბეტისი	2.40	3.10	2.80	1.35	1.29	1.47
23:00	147	ოსასუნა-ლევანტე	1.75	3.10	5.00	1.11	1.29	1.91
23:45	148	რეალი-უელვა	1.33	4.20	9.50	1.01	1.16	2.91
23:00	150	რასინგი-ვილიარეალი	2.35	3.10	2.95	1.33	1.30	1.51
23:45	151	სევილია-დეპორტივო	1.30	4.80	9.00	1.02	1.13	3.13
		21 დეკემბერი						
23:45	142	ბარსელონა-ატლეტიკო	1.47	3.80	6.50	1.05	1.19	2.39
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		21 დეკემბერი						
23:30	177	სტრასბური-ამიენი	1.80	3.10	4.50	1.13	1.28	1.83
		ჰოლანდია. II დივიზიონი						
		20 დეკემბერი						
23:00	199	როზენდალი-დენ ბოსი	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
		გერმანია. თასი						
		19 დეკემბერი						
22:30	212	ბოხუმი-შტუტგარტი	3.00	3.10	2.20	1.52	1.26	1.28
22:30	213	ოსნაბრიუკი-ჰერტა	4.20	3.20	1.80	1.81	1.25	1.15
22:30	214	აინტრახტი-კიოლნი	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
22:30	215	ნიურნბერგი-უნტერჰახინგი	1.50	3.80	6.00	1.07	1.20	2.32
		20 დეკემბერი						
22:00	216	ოფენბახი-ბურგჰაუზენი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
22:00	217	ფიურტი-ვოლფსბურგი	2.65	3.00	2.50	1.40	1.28	1.36
22:00	218	ჰანოვერი-დუისბურგი	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
23:30	219	ალემანია-ბაიერნი	5.00	3.40	1.60	2.02	1.21	1.08

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. თასი						
		19 დეკემბერი						
23:45	220	ჩარლტონი-უიკომბი	1.40	4.20	7.00	1.04	1.16	2.62
23:45	221	ლიივერპული-არსენალი	1.85	3.40	3.85	1.19	1.24	1.80
20:00	222	ნიუკასლი-ჩელსი	6.00	3.40	1.60	2.17	1.26	1.08
20:00	223	ტოტენჰემი-საუთენდი	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
		საფრანგეთი. თასი						
		19 დეკემბერი						
23:45	224	ბორდო-სტ.ეტიენი	2.10	2.90	3.70	1.21	1.33	1.62
		20 დეკემბერი						
19:05	225	სოშო-ლე მანი	1.90	3.00	4.30	1.16	1.31	1.76
21:00	226	რენი-რეიმსი	1.40	3.70	8.00	1.01	1.19	2.52
23:45	227	ლიონი-ნანსი	1.35	4.10	8.00	1.01	1.15	2.71
		თურქეთი. თასი						
		19 დეკემბერი						
18:00	233	კაისერი-ბურსა	2.00	3.10	3.40	1.21	1.25	1.62
		20 დეკემბერი						
16:00	234	კონია-ანკარა	2.10	3.10	3.20	1.25	1.26	1.57
22:00	235	ერჯიესი-გალათასარაი	4.70	3.50	1.60	2.00	1.19	1.09
		21 დეკემბერი						
19:30	236	გენჩლერბირლიგი-ბეშიქთაში	3.00	3.10	2.15	1.52	1.25	1.26
		ჰოკეი. შვედეთი						
		19 დეკემბერი						
22:00	348	ფერიესტადი-ბრიუნესი	1.70	4.30	3.00	1.21	1.08	1.76
22:00	349	მორა-ჰვ 71	2.50	4.20	1.95	1.56	1.09	1.33
22:00	350	ფრიოლუნდა-ლინხიოპინგი	2.10	4.10	2.30	1.38	1.09	1.47
22:00	351	მოდო-მალმიო	1.40	4.50	4.00	1.06	1.03	2.11
22:00	352	აიკ-ლულეო	2.10	4.10	2.30	1.38	1.09	1.47
22:00	353	იურგორდენი-ტიმრე	2.20	4.20	2.10	1.44	1.07	1.39
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		19 დეკემბერი						
22:00	366	სლავია-ლიბერეცი	1.90	4.20	2.55	1.30	1.08	1.58
		20 დეკემბერი						
20:00	360	ტრინეცი-პარდუბიცე	2.15	4.20	2.30	1.42	1.11	1.48
20:00	361	ვსეტინი-ხნოიმო	2.40	4.20	2.00	1.52	1.09	1.35
20:30	362	ბუდეიოვიცე-ლიტვინოვი	1.70	4.30	3.10	1.21	1.09	1.80
20:30	363	პლზენი-ხლინი	2.10	4.10	2.30	1.38	1.09	1.47
21:00	364	სპარტა-ვიტკოვიცე	1.50	4.30	3.80	1.11	1.07	2.01
21:00	365	კარლოვი ვარი-კლადნო	1.70	4.30	2.90	1.21	1.07	1.73
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		19 დეკემბერი						
20:00	374	სკალიცა-კოშიცე	2.50	4.10	1.95	1.55	1.09	1.32
20:00	375	ხვოლენი-პოპრადი	1.60	4.30	3.60	1.16	1.10	1.95
20:30	376	ტრენჩინი-სლოვანი	2.20	4.10	2.20	1.43	1.10	1.43
20:30	377	ნიტრა-ჟილინა	1.60	4.40	3.50	1.17	1.09	1.94
20:00	378	მარტინი-მიკულაში	1.45	4.50	4.10	1.09	1.07	2.14
		ჰოკეი. გერმანია						
		19 დეკემბერი						
22:30	384	ჰამბურგი-კრეფელდი	2.00	4.20	2.50	1.35	1.11	1.56
		21 დეკემბერი						
22:30	385	ინგოლშტადი-მანჰაიმი	2.05	4.10	2.30	1.36	1.08	1.47
22:30	386	დიუსელდორფი-ჰანოვერი	1.80	4.20	2.70	1.25	1.08	1.64
22:30	387	ფრანკფურტი-აისბარენი	2.05	4.10	2.30	1.36	1.08	1.47
22:30	388	კრეფელდი-დუისბურგი	1.35	4.50	5.00	1.03	1.06	2.36
22:30	389	კიოლნი-ჰამბურგი	1.60	4.40	3.30	1.17	1.07	1.88
22:30	390	აუგსბურგი-ისერლონი	2.30	4.10	2.10	1.47	1.09	1.38
22:30	391	სტრაუბინგი-ნიურნბერგი	2.50	4.20	1.90	1.56	1.07	1.30
		ჰოკეი. შვეიცარია						
		19 დეკემბერი						
22:45	399	ცუგი-ამბრი	1.55	4.50	3.30	1.15	1.05	1.90
22:45	400	დავოსი-სერვეტი	1.50	4.50	4.00	1.12	1.09	2.11
22:45	401	ლანგნაუ-ლუგანო	2.35	4.20	2.00	1.50	1.08	1.35
22:45	402	ფრიბურგი-ბასელი	2.00	4.20	2.35	1.35	1.08	1.50
22:45	403	რაპერსვილი-კლოტენი	2.10	4.20	2.30	1.39	1.09	1.48
22:45	404	ციურიხი-ბერნი	2.15	4.10	2.20	1.41	1.08	1.43

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲕᲔᲠᲘᲡ ᲑᲐᲚᲘ. 17-18 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

81 ᲙᲒ

1 ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲐᲘᲜᲓᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
2 ᲒᲠᲘ�გᲝᲚ ᲨᲘᲜᲯᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ
3 ᲡᲐᲑᲐ �გᲐᲕᲐᲨᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
3 ᲚᲔᲕᲐᲜ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ

90 ᲙᲒ

1 ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲪᲘᲠᲔᲙᲘᲫᲔ
2 ᲘᲝᲡᲔᲑ ᲛᲡᲮᲐᲚᲐᲫᲔ
3 ᲓᲐᲕᲘᲗ ᲚᲝᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
3 ᲖᲣᲠᲐᲑ ᲖᲕᲘᲐᲓᲐᲣᲠᲘ

100 ᲙᲒ

1 ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲧᲘᲖᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
2 ᲚᲝᲛᲔᲠ ᲟᲝᲠᲟᲝᲚᲘᲐᲜᲘ
3 ᲚᲔᲕᲐᲜ ᲩᲘᲙᲝᲘᲫᲔ
3 ᲜᲝᲓᲐᲠ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ

+100 ᲙᲒ

1 ᲚᲐᲨᲐ ᲒᲣᲯᲔᲯᲘᲐᲜᲘ
2 ᲖᲕᲘᲐᲓ ᲩᲘᲜᲩᲐᲚᲐᲫᲔ
3 ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲖᲝᲘᲫᲔ
3 ᲚᲔᲕᲐᲜ ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔ

ᲕᲔᲠᲘᲡ ᲑᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲚᲝᲓᲘᲔᲑᲘ

ᲖᲕᲘᲐᲓᲐᲣᲠᲛᲐ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝ ᲐᲐᲬᲙᲠᲘᲐᲚᲐ, ᲛᲐᲛᲠᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲡᲮᲕᲐᲛ ᲘᲛᲔᲠᲐ

ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ 2006 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲕᲔᲠᲘᲡ ᲑᲐᲚᲘᲨᲘ ᲓᲐᲮᲣᲠᲔᲡ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲠᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲑᲝᲚᲝ ᲝᲗᲮ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲐ ᲓᲐ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲪ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲓᲐ. 81, 90, 100 ᲓᲐ %100 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ 60, 77 ᲓᲐ 73-ᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲝᲑᲠᲘᲕᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲐ. ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲫᲘᲛᲔᲬᲝᲜᲝᲡᲜᲘᲡ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲮᲐᲜᲯᲐᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲢᲐᲢᲐᲛᲖᲔ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲘᲮᲘᲚᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ ᲕᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲒᲣᲨᲘᲜᲐᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲗᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲓᲐᲭᲔᲓᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ

81 ᲙᲒ

ᲐᲛ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ �კᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ ᲒᲠᲘ�გᲝᲚ ᲛᲐᲛᲠᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲐᲘᲜᲓᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲐᲛᲯᲣᲠᲐᲓᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲛᲐᲗ ᲡᲐᲩᲘᲛᲞᲘᲝᲜᲝ ᲨᲐᲜᲡᲔᲑᲡ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲒᲐᲜᲗᲔᲡᲘᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲡᲔ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲚᲓᲜᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲑᲐᲘᲜᲓᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲣᲧᲝᲐ. ᲛᲐᲛᲠᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲘ ᲝᲥᲠᲝᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲒᲠᲘᲗᲝᲚ ᲨᲘᲜᲯᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲯᲘᲗᲐ. ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲛᲐ ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲪᲔ ᲬᲠᲘᲓᲐᲜ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘᲡᲐᲓ ᲘᲧᲝ. ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲐᲛᲓᲔ ᲨᲘᲜᲯᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲪᲔ ᲬᲠᲘᲓᲐᲜ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘᲡᲐᲓ ᲘᲧᲝ. ᲐᲮᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲐ ᲡᲘᲐᲨᲘ ᲐᲦᲒᲠᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲠᲘᲗᲝᲚᲘ ᲐᲛ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲡ ᲓᲐᲡᲯᲔᲠᲓᲐ ᲐᲠᲓᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲛᲠᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲪ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ, ᲡᲐᲕᲐᲠᲣᲓᲝᲓ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲛᲐᲛᲠᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲙᲘ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲘᲛᲔᲓᲒᲐᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲠᲔᲠᲔᲨᲐᲯᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲘᲬᲕᲜᲐ. ᲤᲠᲔᲓ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲠᲝᲘᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲨᲘ ᲙᲘᲣᲓᲝᲨᲘ ᲒᲐᲣᲡᲬᲝᲠᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲜᲐᲣᲚᲘ ᲘᲚᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲡᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲑᲐ ᲒᲐᲕᲐᲨᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲗᲐᲜ ᲙᲘ ᲮᲣᲗᲬᲣᲗᲘᲐᲜᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲛᲐᲛᲠᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲠᲘᲗᲘᲡᲠᲘᲡᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲚᲘᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲠᲘᲗᲝᲚ ᲨᲘᲜᲯᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲨᲘ ᲙᲘᲣᲓᲝᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲠᲔᲠᲔᲨᲐᲯᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲘᲬᲕᲜᲐ. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝ ᲒᲐᲕᲐᲨᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲐᲛᲯᲣᲠᲐᲓᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲛᲐᲗ ᲡᲐᲩᲘᲛᲞᲘᲝᲜᲝ ᲨᲐᲜᲡᲔᲑᲡ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲒᲐᲜᲗᲔᲡᲘᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲡᲔ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲚᲓᲜᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲮᲚᲘᲗᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲔᲠᲔ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲜᲐᲜᲐᲢᲠᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲠᲘᲝᲗ. ᲝᲠᲘᲕᲔᲛ ᲬᲗᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ — ᲒᲖᲘᲓᲐᲜ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲩᲐᲛᲝᲚᲘᲚᲓᲐ.

ᲖᲕᲘᲐᲓᲐᲣᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲚᲝᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲪ ᲖᲣᲠᲐᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲯᲐᲓᲝᲡᲜᲣᲠᲘ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ ᲒᲐᲠᲘᲜᲓᲣᲚᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲔᲪᲠᲐᲓ ᲑᲔᲭᲔᲑᲖᲔ. ᲡᲐᲠᲓᲐᲖᲘᲪ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲠᲝᲘᲗᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲨᲘ ᲙᲘᲣᲓᲝᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲠᲔᲠᲔᲨᲐᲯᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲔᲠᲔᲨᲐᲯᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲚᲐᲠᲪ ᲓᲐᲡᲭᲔᲓᲘᲚᲘᲐ. ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲛᲝᲣᲚᲝᲪᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ, ᲡᲐᲕᲐᲠᲣᲓᲝᲓ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲛᲐᲛᲠᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲙᲘ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲘᲛᲔᲓᲒᲐᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲠᲔᲠᲔᲨᲐᲯᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲘᲬᲕᲜᲐ. ᲤᲠᲔᲓ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲠᲝᲘᲗᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲨᲘ ᲙᲘᲣᲓᲝᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲠᲔᲠᲔᲨᲐᲯᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲔᲠᲔᲨᲐᲯᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲚᲐᲠᲪ ᲓᲐᲡᲭᲔᲓᲘᲚᲘᲐ. ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲛᲝᲣᲚᲝᲪᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ, ᲡᲐᲕᲐᲠᲣᲓᲝᲓ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲚᲝᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲫᲐᲚᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲯᲔᲤᲘᲜᲐᲚᲐᲨᲘᲪ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ ᲓᲐ ᲖᲣᲠᲐᲡ ᲠᲔᲠᲔᲨᲐᲯᲘᲡ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲔᲮᲡᲜᲐ. ᲘᲥ ᲙᲘ ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲝᲗᲮᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲛᲝᲘᲒᲝ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ. ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲨᲘ ᲛᲐᲜ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲘᲡᲢᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲑᲝᲓᲐᲕᲔᲚᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲙᲐᲗᲘ ᲐᲯᲘᲠᲗᲐ.

ᲑᲝᲓᲐᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲞᲔᲨᲐᲟᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲑᲐᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘᲓᲐᲜ ᲪᲘᲠᲔᲙᲘᲫᲔᲛ ᲩᲐᲥᲕᲘᲗᲐ. ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲬᲝᲠᲘᲔᲓ ᲐᲛ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲨᲘ ᲒᲐᲣᲭᲘᲠᲓᲐ — ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲣᲙᲝᲗᲘ ᲛᲝᲘᲒᲝ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲝᲗᲮ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲑᲡ ᲘᲞᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲣᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲓᲐ. ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲙᲘ ᲪᲘᲠᲔᲙᲘᲫᲔᲛ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲛᲡᲮᲐᲚᲐᲫᲔ ᲨᲔᲑᲝᲭᲕᲐᲖᲔ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲐ.

ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲑᲝᲓᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲚᲝᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲪ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲛᲐᲜ ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘ ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲬᲐᲛᲔᲑᲖᲔ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲗ ᲡᲫᲚᲐ.

90 ᲙᲒ

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲪᲘᲠᲔᲙᲘᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲖᲕᲘᲐᲓᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲐᲛ ᲬᲝᲜᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲪᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲜᲢᲠᲘ�გᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ. ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲬᲝᲠᲘᲔᲓ ᲐᲛ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲨᲘ ᲒᲐᲣᲭᲘᲠᲓᲐ — ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲣᲙᲝᲗᲘ ᲛᲝᲘᲒᲝ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲝᲗᲮ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲑᲡ ᲘᲞᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲣᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲓᲐ. ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲙᲘ ᲪᲘᲠᲔᲙᲘᲫᲔᲛ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲛᲡᲮᲐᲚᲐᲫᲔ ᲨᲔᲑᲝᲭᲕᲐᲖᲔ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲐ.

ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲑᲝᲓᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲚᲝᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲪ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲛᲐᲜ ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘ ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲬᲐᲛᲔᲑᲖᲔ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲗ ᲡᲫᲚᲐ.

100 ᲙᲒ

ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲘᲡᲘ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲧᲘᲖᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲚᲝᲛᲔᲠ ᲟᲝᲠᲟᲝᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲗᲘᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲔᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲯᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲠᲘᲕᲔᲡ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲚᲓᲐ. ᲧᲘᲖᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲘᲚᲔᲗᲘ ᲗᲐᲖᲐᲠᲘᲗ ᲨᲔᲤᲐᲡᲓᲐ. ᲖᲕᲘᲐᲓᲐᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲠᲩᲔᲚᲐᲓ ᲝᲠᲘ ᲬᲣᲗᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲔᲪᲠᲐᲓ ᲑᲔᲭᲔᲑᲖᲔ. ᲡᲐᲠᲓᲐᲖᲘᲪ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲠᲝᲘᲗᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲨᲘ ᲙᲘᲣᲓᲝᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲠᲔᲠᲔᲨᲐᲯᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲔᲠᲔᲨᲐᲯᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲚᲐᲠᲪ ᲓᲐᲡᲭᲔᲓᲘᲚᲘᲐ. ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲛᲝᲣᲚᲝᲪᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ, ᲡᲐᲕᲐᲠᲣᲓᲝᲓ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲬᲐᲛᲔᲑᲖᲔ, ᲧᲘᲖᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲖᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ. ᲘᲥᲐᲛᲓᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲣᲙᲝᲡ ᲐᲒᲔᲑᲓᲐ. ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲩᲘᲙᲝᲘᲫᲔᲛ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲚᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲛᲐ ᲜᲝᲢᲐᲠ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲘᲘᲞᲝᲕᲔᲡ.

+100 ᲙᲒ

ᲛᲫᲘᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲗᲔᲡᲘᲚᲘ ᲚᲐᲨᲐ ᲒᲣᲯᲔᲯᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘ ᲝᲥᲠᲝᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲣᲨᲚᲐ. ᲚᲔᲕᲐᲜ ᲛᲣᲭᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲑᲝᲭᲕᲐᲖᲔ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲐᲢᲔᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲓᲐᲣᲯᲓᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲩᲘᲜᲩᲐᲚᲐᲫᲔᲡ ᲣᲠᲩᲘᲚᲔᲡᲚᲐᲓ ᲓᲐᲣᲯᲓᲐ, ᲘᲡᲙᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲒᲕᲐᲜᲓᲑᲘᲗ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲥᲘᲜᲥᲚᲐᲫᲔᲡ.

ᲒᲣᲯᲔᲯᲘᲐᲜᲘ ᲙᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲛᲔᲢᲩᲔᲚᲘᲡᲑᲖᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲘᲧᲝ. ᲚᲐᲨᲐᲛ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲚᲐ ᲯᲔᲯᲚᲘ ᲘᲞᲝᲜᲘᲗ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ.

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲣᲯᲐᲙᲘ ᲨᲘᲜᲐ ᲮᲐᲠᲘᲠᲔᲚᲘ ᲜᲐᲢᲣᲠ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლეგიონი

დიჟონის გიჟური კვირა

ნაცვლიშვილმა ჰერბერტი ნახა და დაამარცხა

მანუჩარ მარკოიშვილის „ოლიმპიამ“ წინა კვირაში ორი თამაში მოიგო

თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა კალათბურთელის ჩავარდნას, ქართულმა ლეგიონმა გასული კვირა შესანიშნავად ჩაითამაშა. ჩვენიანთა სტატისტიკა სტატისტიკად და ქართველთა გუნდებმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვებები მოიპოვეს, რომელთაგან ყველაზე გამოსარჩევი ვახტანგ ნაცვლიშვილის „დიჟონის“ წარმატებაა.

„დიჟონმა“ ევროთასზე ყოფნა-არყოფნის მატჩი გამართა რუმინულ „პლოეშტთან“ და შინაურ ჩემპიონატშიც პრინციპული მეტოქე ჰყავდა. ვატოს გუნდმა ორივე მატჩში იმარჯვა და ევროთასზე ჯგუფიდან ხომ გავიდა და ფრანგულ ლიგაშიც პოზიცია გაიმყარა.

ნაცვლიშვილმა „პლოეშტთან“ 23 წუთი ითამაშა და ამჯერადაც უწია 10-ქულიან ზღვარს. ამასთან საქართველოს ნაკრების კაპიტანმა 4 მოხსნა და 2 პასიც მიითვალა. მეორე ჯგუფურ ეტაპზე „დიჟონის“ მეტოქეები იქნებიან: იტალიური „ვირტუსი“, ლიტვური „შაულიაი“ და კვიპროსული აელ-ი.

დიჟონელებმა საფრანგეთის ჩემპიონატში არანაკლებ პრინციპული მატჩი მოიგეს — გორდონ ჰერბერტის „პო ორტეზი“ სტუმრად 78:72 დაამარცხეს და ცხრილში მეოთხე-მეექვსე ადგილებს იყოფენ. ვატო შედარებით მოკრძალებული იყო სანაკრებო მწვრთნელის გუნდის წინააღმდეგ — ის 6 წუთით გავიდა მოედანზე და 4 ქულის მოგროვება მოახერხა.

ევროთასის იმ ჯგუფიდან, რომლიდანაც „დიჟონი“ გავიდა, მომდევნო ეტაპზე ვიქტორ სანიკიძის „ესტუდიანტესიც“ ითამაშებს. სამწუხაროა, რომ „ვიკას“ არც ევროთასის მატჩში უთამაშია ებრაულ „ნაჰარიასთან“ და არც ესპანეთის ჩემპიონატში. თუმც პრიმერადივიზიონში „ესტუდიანტესს“ უძლიერესი მეტოქე — „ტაუ“ ჰყავდა და გასაკვირი არაა, რომ გამოუცდელ სანიკიძეს მწვრთნელი არ ენდო.

სანიკიძის ტოლია, მაგრამ გამოცდილება არ აკლია მანუჩარ მარკოიშვილს, რომელმაც ჩინებულად ითამაშა გასულ კვირაში და დაამტკიცა, რომ „ოლიმპიას“ ერთ-ერთი გამწევი ძალაა. მანუჩარი უკვე ჩამოყალიბდა სტაბილურ მოთამაშედ და თავის საკეთებელს ყოველ მატჩში აკეთებს.

„ოლიმპიამ“ რომ ევროლიგაში მოგების გემო გაიხსენა, მარკოიშვილის დამსახურებაცაა. ლიუბლიანელები მძლავრ „ციბონას“ მასპინძლობდნენ და დრამატულ ფინალში — ოვერტაიმში იმარჯვეს. მანუმ 37 წუთი დაყო მოედანზე და 16 ქულასთან ერთად 6 მოხსნა და 1 პასი გაჩარხა.

კიდევ უფრო სარგებლიანი იყო მარკოიშვილი ადრიატიკის ლიგაზე, სადაც „ოლიმპიამ“ თანამემამულე „სლოვანი“ დაამარცხა და მანუჩარმა 17 ქულის მოგროვება სულ რაღაც 24 წუთში შეძლო.

შედეგიანობის პიკზეა ტაირონ ელისიც, რომელიც იტალიურ „ნაპოლში“ ახლახან გადავიდა და ამ კვირაში საუკეთესო მატჩები ჩაატარა. ჯერ იყო და, ელისმა მოსკოვში ცსკა-ს 5 სამქულიანი ჩაუგდო 8 ცდიდან და ნეაპოლელებს მრისხანე მეტოქესთან ღირსეულად დამარცხებაში დაეხმარა. გუშინწინ კი საქართველოს ნაკრების ამერიკელმა წევრმა სერია A-ში თავისიანებს „ანგელიკოს“ წინააღმდეგობა დაამლევინა. ის 17 ქულით საუკეთესო იყო ნეაპოლელებს შორის.

დაბოლოს, ზაზა ფაჩულიას წარმატებებზეც ვთქვათ: „ატლანტა ჰოქსის“ ქართველმა ცენტრმა გასულ პარასკევს „მემფისს“ 22 ქულა ჩაუგდო და „ქორებს“ 5 მარცხის შემდეგ გაამარჯვებინა. საინტერესო ის არის, რომ ამ მატჩში მემფისელებს მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში დაშავებული პაუ გასოლი დაუბრუნდათ, მაგრამ რა ხეირი — ფაჩულიამ ესპანელ სუპერვარსკვლავს ხელი არ გაანძრევინა.

ირაკლი პერტაია

სახელი გვარი	გუნდი	ტურნირი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ
გიორგი ცინცაძე	როკი	ჩელენჯ კაპი	ნორდვიკი	შ	100:88	29	4	7	0
მანუჩარ მარკოიშვილი	ოლიმპია	ადრიატიკის ლიგა	სლოვანი	შ	91:70	24	17	1	2
		ევროლიგა	ციბონა	შ	92:88	37	16	6	1
ვლადიმერ ბოისა	სიენა	სერია A	სნაიდერსი	ს	69:78	7	0	0	0
		ულების თასი	ჰაპოელი	შ	85:91	11	0	1	0
ვახტანგ ნაცვლიშვილი	დიჟონი	ევროთასი	პლოეშტი	შ	98:86	23	11	4	2
		საფრანგეთის ჩემპიონატი	პო ორტეზი	ს	78:72	6	4	0	0
ვიქტორ სანიკიძე	ესტუდიანტესი	ევროთასი	ნაჰარია	შ	92:83	არ უთამაშია			
		ესპანეთის ჩემპიონატი	ტაუ	ს	70:73	არ უთამაშია			
ლევან შენგელია	აკადემია	ლიტვის I ლიგა	კაუნო	ს	88:91	11	2	3	0
ტაირონ ელისი	ნაპოლი	ევროლიგა	ცსკა	ს	72:82	25	15	2	1
		სერია A	ანგელიკო	ს	77:65	26	17	4	2
ზაზა ფაჩულია	ატლანტა	NBA რეგ. ჩემპ.	დენვერი	შ	87:100	25	8	6	4
			ნიუ იორკი	ს	82:94	27	10	6	0
			მემფისი	ს	97:88	42	22	7	1
			ჩიკაგო	შ	104:106	27	16	6	

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

NBA რეგულარული ჩემპიონატი

არენაზეა არენასი

17 დეკემბერი

ლეიკერსი 141:147 ვაშინგტონი

ძირითადი დრო 126:126

ლეიკერსი: ბრაიანტი (45 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), რადმანოვიჩი (27), უოლტონი (15 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა)

ვაშინგტონი: არენასი (60 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), ბატლერი (27), ჯემისონი (25 ქულა, 13 მოხსნა)

ინდიანა 94:104 იუტა

ინდიანა: ონილი (31), ჯექსონი (16)

იუტა: ბუზერი (18), უილიამსი (17)

კლიპერსი 103:108 ჰიუსტონი

კლიპერსი: ლივინგსტონი (21), კამანი (20)

ჰიუსტონი: მინი (32), ალსტონი (26)

დეტროიტი 97:93 სიეტლი

დეტროიტი: ჰამილტონი (24), ბილაფსი (21)

სიეტლი: ლუისი (25) უილკოქსი (21)

ტორონტო 120:115 გოლდენ სტეიტი

ტორონტო: ფორდი (21), გარბახოსა (18)

გოლდენ სტეიტი: ელისი (28), დევისი (20)

„ჰიუსტონთან“ შეხვედრიდან მხოლოდ ორი დღე იყო გასული, რომ „ლეიკერსის“ სუპერვარსკვლავმა კობი ბრაიანტმა კიდევ ერთი მძლავრი მატჩი დააქუხა. პარასკევს მან „ჰიუსტონს“ 53 ქულა აძგერა და ამას 10 მოხსნა და 8 პასი მიაყოლა, კვირას კი „ვაშინგტონთან“ 45 ქულას 10 პასი და 8 მოხსნა დაურთო. მაგრამ წინა შეხვედრისგან განსხვავებით, ბრაიანტმა ეს მეორე ველარ მოაგებინა თავის გუნდს, რაკი მეტოქეს უკეთესი მოთამაშე ჰყავდა. ჯილბერტ არენასი ნბა-ს ისეთ მეგავარსკვლავად ვერ ჩაითვლება, როგორც ბრაიანტი, სხვა თუ არაფერი, ამ უკანასკნელს 3 საჩემპიონო ტიტული უნათებს სახელს, მაგრამ კვირას ლოს ანჯელესში არენასმა აშკარად აჯობა ბრაიანტს, 60 ქულა გააკეთა და არაერთი რეკორდი დაამყარა, თუმც ამაზე ორი აბზაცით ქვემოთ.

მთელ თამაშს — პირველიდან 53-ე წუთამდე — გასდევდა ორი ჩაუქი მექულის დუელი. არენასიც და ბრაიანტიც ძალდაუტანებლად იხვეჭდნენ ქულებს და, საერთოდ, ეს თამაში შემტევებისა უფრო იყო, ვიდრე დამცველებისა და ბურთებიც დაუზარლად ცვიოდნენ ორივე კალათში. „ვაშინგტონმა“ პირველ ორ მეოთხედში 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა, მესამეში შეინარჩუნა და მეოთხეს დასაწყისში 17-ითაც გაიჭრა წინ, მაგრამ მასპინძლებმა ბრაიანტის მეთაურობით დიდი კონტრშეტევა მოაწყვეს, მეოთხე მეოთხედის ბოლოს 126:126 გაათანაბრეს და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანეს. ამ მომენტისთვის ორივე გუნდის ლიდერს ბლომად უჩხრიალებდა ჯიბეში — არენასს 44 ჰქონდა, ბრაიანტს კი 41.

მაგრამ დაიწყო დამატებითი ხუთწუთეული და ბრაიანტს ქულათა მარაგი ამოეწურა, მან მხოლოდ 4 ქულა შემატა. არენასმა კი, პირიქით, უფრო თამამად გაშალა ხელი და 5 წუთში 16 (!) ქულა ისე იოლად გაჩარხა, თითქოს ჯიბეში უწყვია და მათ მოსაპოვებლად მხოლოდ ხელის ჩაყოფა სჭირდებაო. „ვაშინგტონმა“ ოვერტაიმი 21:15 მოიგო, საბოლოოდ კი 147:141 დაფიქსირდა. ნამდვილად არაბუნებრივად ხვავიანი ანგარიშია, მაგრამ ერთი კვირის წინანდელი რიცხვების შემდეგ რაღა უნდა გაგვიკვირდეს?! „ფინიქსის“ მიერ „ნიუ ჯერსის“ ორმაგოვერტაიმიან ჯახში 161:157 ძლევას ვგულისხმობ.

ორივე გუნდის მიერ ჯამში ჩაგდებული 288 ქულა არაა ამ რეგულარულის რეკორდი, მაგრამ 60 ქულა კი სეზონში ყველასთვის უმაღლესი გახლავთ და 3-ით აღემატება მილუოკელი მაიკლ რედის მონაგარს. გარდა ამისა, ეს 60 ქულა სარეკორდოა არენასის 5-წლიან კარიერაში და 13-ით აღემატება ძველ რეკორდს. ეს ასევე სარეკორდოა კლუბისთვისაც, ძველი ერლ მონროს 56 ქულა გახლდათ, რომელიც მან 1968 წელს ასევე „ლეიკერსს“ ჩაუგდო, ოღონდ მაშინ „ვიზარდსს“ „ბულეტსი“ ერქვა და არა ვაშინგტონის, არამედ ბალტიმორის სახელით გამოდიოდა.

კოტე ყორშია

სპორტის დედოფალი ჯერ ისევ რუკაზეა

საქართველოს მძლეოსანთა წლევანდელი სეზონი მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანი იყო. მართალია, მათ ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტიათ და ასეთ წარმატებებს, როგორც იტყვიან, სათოფეზეც არ გაკარებიან, მაგრამ მრავალწლიანი ჩავარდნის მერე „სპორტის დედოფლის“ ჩვენს წარმომადგენლებს მნიშვნელოვანი გამოცოცხლება დაეტყოთ და სეზონიც შედარებით აქტიური გამოუვიდათ. ეს აქტიურობა ნაწილობრივ ჯერ ჩვენი ეროვნული სტადიონის განახლების მოლოდინმა განაპირობა, მერე კი მისმა მწყობრში ჩადგომამაც, რასაც ზედიზედ ორი შეჯიბრების მასპინძლობაც მოჰყვა, მანამდე კი...

შემოდგომაზე თბილისმა საერთაშორისო კროსს უმასპინძლა

მანამდე „სპორტის დედოფალ“ რიგიანი სარბიელის უქონლობის გამო შავ დღეში იყო. ამიტომ საქართველოს მძლეოსანთა ჩემპიონატის ორგანიზატორები დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ, რადგან აღარ იცოდნენ, სად ჩაეტარებინათ ეს შეჯიბრება. თბილისში, ეროვნული სტადიონზე ერთ დროს მშვენიერი მძლეოსნური ბილიკები და სექტორები იყო, მაგრამ მერე მთლად ოღროჩოღრო გახდა და იქაურობის რემონტი თუ რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა, სხვა ბაზა კი თბილისში არსად იყო.

იგივე ითქმოდა მთელ საქართველოზეც. ერთადერთი გამონაკლისი ქუთაისის ცენტრალური სტადიონი იყო, რომელიც ჩვენი ქვეყნის მძლეოსანთა ჩემპიონატს, ამჟამინდელი დროების კვალობაზე, მაქსიმალურად მომზადებული დაუხვდა.

იმ ჩემპიონატის შედეგებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ შეჯიბრებამ გვაჩვენა, რომ მძლეოსნობა საქართველოში ჯერ არ მომკვდარა და მისი არსებობა, საბედნიეროდ, ბევრგან ახსოვთ. ამის დასტური იყო თუნდაც ის, რომ პირველობა საკმაოდ წარმომადგენლობითი გამოდგა. სარბიელზე გამოვიდნენ: თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ბორჯომის, ახალციხის, ასპინძის, ზუგდიდის, ოზურგეთის, მარტვილის, ვანის, გარდაბნის, დუშეთისა და, რაღა თქმა უნდა, მასპინძელი ქუთაისის გუნდები. მართალია, შეჯიბრებაში ძირითადად მაინც ახალგაზრდა, სასკოლო ასაკის, გამოუცდელი სპორტსმენები მონაწილეობდნენ, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ბევრგან მძლეოსნობისადმი ინტერესი შერჩენიათ და მონდომებით ვარჯიშობენ. ამ ჩემპიონატმა რამდენიმე პერსპექტიული მოზარდი გამოავლინა, რომლებიც სათანადო ხელშეწყობის პირობებში ალბათ საკმაოდ დაოსტატდებიან. ამის დასტური იყო სოჭში კავკასიის თასის გაათმაშებაზე თანატოლთა შორის კარგი გამოსვლა. შეჯიბრებაში 1989 წელსა და შემდგომ დაბადებული მძლეოსნები გამოდიოდნენ. როგორც თავის დროზე ვიუწყებოდით, მაშინ ჩვენმა სპორტსმენებმა აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის და რუსეთის მძლეოსნებთან პაექრობაში ოთხი პირველი და ექვსი მესამე ადგილი დაიკავეს, გუნდურ პირველობაში კი მხოლოდ ჩრდილოელ მეზობლებს ჩამორჩნენ.

იმასაც შეგახსენებთ, რომ აქამდე ამ შეჯიბრების წინამორბედი ამიერკავკასიის თასის გათამაშება იყო, რომელსაც თბილისი მასპინძლობდა და მასში მოლდოველებიც გამოდიოდნენ. შარშან თბილისში გამართულ ამ სახეობის წარმომადგენელთა კონფერენციაზე ჩვენი მძლეოსანთა ფედერაციის ინიციატივით შეჯიბრების მასშტაბის გაზრდა გადაწყდა და რაკი ეროვნული სტადიონის რემონტის გამო იმედად ვერ ვიქნებოდით, ასპარეზობას სოჭმა უმასპინძლა. გაისად, ეტყობა, იგი კვლავ თბილისში გადმოინაცვლებს და მასში ირანისა და ისრაელის წარმომადგენლებიც გამოვლენ.

ჩვენი მძლეოსნობის ფედერაციას სხვა გეგმებიც აქვს, მაგრამ ეს სულ სხვა თემაა, ახლა კი კვლავ წლევანდელ სეზონს დავუბრუნდეთ, როცა მოხდა უმნიშვნელოვანესი რამ, განახლდა ეროვნული სტადიონი.

ეს სეზონი დასამახსოვრებელი იყო იმითაც, რომ ჩატარდა ახალი შეჯიბრება — ჩვენი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ვიქტორ სანეევის თასის გამთამაშება, რომელმაც განახლებული ეროვნული სტადიონის მძლეოსნური სექტორები პირველმა დააჭაშნიკა.

მძლეოსნური სექტორები ალბათ ჯერ ხმამაღალი ნათქვამია, რადგან აქ მხოლოდ სარბენი ბილიკები, სიგრძეზე და სამხტომის ორმოებია მოწყობილი, მაგრამ იმედია, დანარჩენსაც მოევლება და აქ სრულფასოვანი შეჯიბრების, მათ შორის, საერთაშორისო ტურნირების გამართვაც გახდება შესაძლებელი. მანამდე კი იქაურობა სანეევის თასის გათამაშების მონაწილეებმა მხოლოდ გარბენებში და სამხტომში მოსინჯეს..

ამ შეჯიბრების ლამის ყველა მონაწილემ, არადა, ისინი საკმაოდ ბევრნი, 14 რაიონისა და ქალაქის წარმომადგენლები იყვნენ, პირველად იხილა ნამდვილი სარბენი ბილიკები და გაიგო, თუ რას ნიშნავს თანამედროვე სტადიონზე გამოსვლა. უძლიერესებმა საგანგებოდ ამ შეჯიბრებისთვის დამზადებული მედლები მოიპოვეს, ხოლო სანეევის სა-ყვარელ სახეობაში, სამხტომში გამარჯვებულებმა კი თასებიც დაისაკუთრეს.

ეს შეჯიბრება, როგორც ქუთაისში გამართული საქართველოს ჩემპიონატი, იმითაც იყო საყურადღებო, რომ მასში, ტრადიციის საწინააღმდეგოდ, ძირითადად, არათბილისელებმა იმარჯვეს, რაც კონკურენციის წინაპირობაა.

სანეევის თასის გათამაშებიდან სულ მალე ეროვნულმა სტადიონმა ოლიმპიური თამაშების პრიზიორ მაია აზარაშვილის სახელობის აწ უკვე ტრადიციული საერთაშორისო გარბენის ფინიშსაც უმასპინძლა.

ეს შეჯიბრება, მოგეხსენებათ, აქამდე ბორჯომში იმართებოდა, ახლა კი თბილისში გადმოინაცვლა და ესეც სიახლე იყო. კროსმა თავი მოეყრება აზერბაიჯანის, ამერიკის, გერმანიის, ინგლისის, კენიის, მოლდოვის, რუსეთის, სომხეთის, უკრაინის, ჰოლანდიისა და ჩვენს მორბენლებს. მართალია, ჩვენმა კროსმენებმა საპრიზო ადგილები ვერ მოიპოვეს, მაგრამ მსგავს შეჯიბრებებს მძლეოსნობის პოპულარიზაციისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და იგი, ზოგადად, ქვეყნის პრესტიჟისა და ავტორიტეტის ზრდასაც ხელს უწყობს.

იგივე მიზნებს ემსახურება „უცხოეთში ჩვენი მძლეოსნების გამოსვლაც და კარგია, რომ საქართველოს სპორტსმენები მხოლოდ ოფიციალურ შეჯიბრებებში არ ცდიან ძალებს.

ამ მხრივ საინტერესო იყო შავი ზღვის ქვეყნების მძლეოსანთა მარათონიც, რომელიც თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, მოლდოვის, რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს მორბენალთა მონაწილეობით ჩატარდა ღვეზით — „თანხმობა და თანამეგობრობა“. მისმა მონაწილეებმა, მათ შორის ჩვენმა ქუთაელ კუპატაძემ, ჯეირან ხოფერიამ და გიორგი შეკრილაძემ შავ ზღვას სტამბოლიდან სტამბოლამდე 5-5 კილომეტრიან ესტაფეტურ ეტაპებად შემოურბინეს.

რა თქმა უნდა, ჩვენი მძლეოსნები გუტენბერგში ევროპის ჩემპიონატზეც გამოვიდნენ, უფრო სწორად, საქართველო იქ ერთადერთი სპორტსმენით, ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე იულია დუბინაით იყო წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ევროპის მძლეოსნურ რუკაზე მან მხოლოდ ჩვენი ქვეყნის არსებობა დააფიქსირა, მაგრამ ამ სახეობაში საქართველოს წლევანდელი ძვრები, იმედია, არ შენელდება და მერე იქნებ მედლებიც მივითვალოთ.

ავთანდილ ჭყვიშელი

სანეევის თასის გათამაშებაში 800 მეტრზე რბენაში პრიზიორები: ნინო გველესიანი (ჭიათურა), ირინა დენისკინა და თინათინ პაპუაშვილი (ორივე ბორჯომი)

სანეევის თასის გათამაშებაში 1500 მეტრზე რბენის მონაწილეები

ავთანდილ ბურასაშვილის ფოტოები

მსოფლიოს თასი. მესამე ეტაპი
ჰოხფილცენი (ავსტრია). 13 – 17 დეკემბერი

AFP ჰოხფილცენიდან

ნორვეგია უბიორნდალენოდაც მაგარია

ავსტრიულ ჰოხფილცენში კვირას ესტაფეტებით დასრულდა ბიატლონისტთა მსოფლიოს თასის მესამე ეტაპი და შაშხანიან-თხილამურებიანი ხალხი საშობაო არდადეგებზე წავიდა — მორიგი, მეოთხე ეტაპი, უკვე ნაახალწლევს გაიმართება გერმანულ ობერხოფში.

ესტაფეტები კი ფრანგი ქალებისა და ნორვეგიელი კაცების გამარჯვებით დასრულდა, წინა ეტაპზე წყვილად გამარჯვებული რუსები კი ამჯერად როგორც ქალთა, ისე კაცთა შორის მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

ფრანგი დიაცების წარმატება, ფაქტობრივად, იდეალურმა სროლამ განაპირობა — საჯარიმო წრეზე არც ერთი სპორტსმენი არ გასულა, ხოლო რაც შეეხება დამატებით ვაზნებს, მთელმა გუნდმა 11 ვაზნა გამოიყენა. დიახ, ქალთა ესტაფეტაში ოთხივე მოთხილამურე, ყოველ დაშვებაზე, ცალკე იტენება. საინტერესოა, რომ ქალთა ესტაფეტაში საფრანგეთის გუნდის ორი ... ყოველ დაშვებაზე ...

არის ლაპარაკი და ბევრელ-რობერის, პერეტოს, ბეკარისა და ბეის ოთხეულმა სასროლეთზე ოდენ 3 ზედმეტი ვაზნა დახარჯა. აი, გერმანელთა კვარტეტი კი სწორედ სროლამ დაალალატა — სამი საჯარიმო წრე და 8 ზედმეტი ვაზნა. ამ საქმეში განსაკუთრებით მესამე ეტაპზე მოასპარეზე კატრინ აპელმა „გამოიჩინა“ თავი და შედეგად, გერმანელთა მძლავრი გუნდი საპრიზო ადგილებს მიღმა აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ეტაპის წინ შვედები ლიდერობდნენ, მაგრამ სკანდინაველთა მეოთხე ნომერ ჰოლმას ნერვებმა უმტყუნა და მხოლოდ მეხუთემ უწია ფინიშს.

აი, ნორვეგიელმა კაცებმა კი, ფრანგი ქალებისგან განსხვავებით, თავიანთი ტრადიციული კოზირის, სწრაფი თხილამურობის წყალობით იმარჯვეს და ნუ დაგვავიწყდება, რომ ვიკინგთა გუნდს აკლდა ბიატლონის მეფე ოლე ეინარ ბიორნდალენი, ვინც ამ ჯერზე ჰოხფილცენში კი არა, ფრანგულ ლა კრუზეში იყო და ბარის მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის ეტაპზე გამოდიოდა.

კაცები

4X7,5 კმ. ესტაფეტა (4X2 სასროლეთი)

1. ნორვეგია (სვენსენი, ანდერსენი, ბერგერი, ჰანევოლდი)	1სთ.20წთ.45,5წმ. (0 საჯარიმო წრე+11 დამატებითი ვაზნა)
2. რუსეთი (ჩერეზოვი, ჩუდოვი, იაროშენკო, კრუგლოვი)	+5,6წმ. (0+7)
3. გერმანია (გროსი, რიოში, ფიშერი, გრაისი)	+32,5 (0+6)
4. ჩეხეთი (მორავეცი, შლეზინგრი, სოუკუპი, ვიტეკი)	+50,2 (0+11)
5. ავსტრია (მეზოტიჩი, პინტერი, გრედლერი, ზუმანი)	+1.37,6 (2+8)

ქალები

4X6 კმ. ესტაფეტა (4X2 სასროლეთი)

1. საფრანგეთი (ბევერელ-რობერი, პერეტო, ბეკარი, ბეი)	1სთ.12წთ.46,7წმ. (0+3)
2. რუსეთი (ბოგალი-ტიტოვეცი, მოისეევა, ბულიგინა, გუსევა)	+13,8 (0+9)
3. ჩინეთი (დონ სიუ, კონ იუნჩაო, ინ ჩაო, ლიუ სიანინი)	+30,5 (1+9)
4. გერმანია (გლაგოვი, ვილჰელმი, აპელი, ჰენკელი)	+50,5 (3+8)
5. შვედეთი (იონსონი, ოლოფსონი, ნილსონი, ჰოლმა)	+1.03,1 (0+11)

მსოფლიოს თასი
ლა კლუზა (საფრანგეთი). 16 – 17 დეკემბერი

ფინელებს დედოფალი გადაელალათ

თანამედროვე ბარის თხილამურობის ფინელ დედოფალს ვირპი კუიტუნენს შეეძლო, ფრანგულ ლა კლოზეში ერთგვარი სათხილამურო ჰეთ თრიკი შეესრულებინა და 10 კილომეტრზე კლასიკური და 15 კილომეტრზე თავისუფალი სტილით მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ თანაგუნდელებთან ერთად ესტაფეტაშიც ეპირველა. კუიტუნენის თანაგუნდელებმა საამისოდ ყველაფერი გააკეთეს და თავიანთი ლიდერი, რომელიც დასკვნით, მეოთხე ეტაპზე ასპარეზობდა, პირველი გაუშვეს ფინიშისკენ, მაგრამ თავად ვირპიმ ველარ ივარგა. როგორც ჩანს, ინდივიდუალურმა და განსაკუთრებით მასობრივი სტარტით რბოლებმა ძალიან ბევრი ენერგია წაიღო და კუიტუნენს იმის ძალაც კი აღარ შერჩა, რომ პირველ ადგილზე მყოფს, თუნდაც საპრიზო სამეულში დაესრულებინა რბოლა.

კუიტუნენი, რომ იტყვიან დადგა და მას რიგრიგობით გაუსწრეს გერმანელმა ზახენბახერმა, შვედმა ნორგრენმა, ჩეხმა ნოიმანოვამა და რუსმა მედვედევამ.

საბოლოო ჯამში საესტაფეტო პირველობა გერმანელებს დარჩათ, მეორე ადგილზე შვედი ქალები გავიდნენ, მესამეზე — ჩეხები, ხოლო ფინელები მეხუთემდე ჩამოქვეითდნენ.

კაცთა 4+10 კილომეტრზე ესტაფეტაში კი უზარმაზარი, თითქმის წუთნახევრიანი უპირატესობით იმარჯვეს რუსებმა. მეორეზე ნორვეგიელები გავიდნენ, რომელთა გუნდში მესამე ეტაპზე ორი კურდღლის წარმატებით მადევარი ოლე ეინარ ბიორნდალენი იყო, ხოლო მეოთხეზე — ამომავალი ვარსკვლავი პეტერ ნორტუგი. ამ უკანასკნელმა ზედ ფინიშზე აჯობა წინა დღეს 30 კილომეტრიანი რბოლის მომგებიანობას ანგერერს და გერმანელები მესამე ადგილზე დატოვა.

გია მუჯირი

კაცები

4X10 კმ. ესტაფეტა

1. რუსეთი (როჩევი, პანკრატოვი, ლეგკოვი, დემენტიევი)	1სთ.45წთ.58,4წმ.
2. ნორვეგია (ჰეტლანდი, რიონინგი, ბიორნდალენი, ნორტუგი)	1:47.22,7
3. გერმანია (ზიფერტი, ტაიხმანი, ზომერფელდი, ანგერერი)	1:47.23,9
4. იტალია	1:47.26,4
5. შვედეთი	1:47.27,4

ქალები

4X5 კმ. ესტაფეტა

1. გერმანია (ზელერი, ბაუერი, კუნცელ-ნისტადი, ზახენბახერი)	56წთ.14,6წმ.
2. შვედეთი (ანდერსონი, ლინბორგი, კალა, ნორგრენი)	56.27,3
3. ჩეხეთი (ერბენოვა, რაიდლოვა, იანეჩკოვა, ნოიმანოვა)	56.29,3
4. რუსეთი	56.34,7
5. ფინეთი	56.44,5

AFP ალტა ბადიიდან

მსოფლიოს თასი
ალტა ბადია (იტალია). 17 დეკემბერი

ბრწყინვალე კალე

29 წლის ფინელის, კალე პალანდერის გამარჯვებით დასრულდა კვირას იტალიურ ალტა ბადიაში გამართული გიგანტური სლალომის ეტაპი.

პალანდერმა, ვინც ამ საზეობაში 1999 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გახლავთ, ზაფხულში მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და ასე მალე თუ ჩადგებოდა ოპტიმალურ ფორმაში, ნაკლებად სავარაუდო იყო, მაგრამ დოლომიტის ალპებში ფინელმა ბრწყინვალედ ისრიალა და სეზონში პირველი, ხოლო კარიერაში მე-8 გამარჯვება მოიპოვა.

გადამწყვეტი დარტყმა მეტოქეებს კალემ პირველივე დაშვებისას მიაყენა, როდესაც ალტა ბადიას თოვლიანი ფერდობი წუთსა და 13,97 წამში ჩაისრიალა და მეორე ადგილზე გასულ იტალიელი დავიდე სიმონჩელი 0,32 წამით ჩამოიტოვა. გაცილებით უკან დარჩნენ ფავორიტები — ამერიკელი ბოდე მილერი პალანდერთან 1,7 წამს აგებდა, ხოლო მსოფლიოს თასის ამჟამინდელი მფლობელი და ოლიმპიური ჩემპიონი, ავსტრიელი ბენჯამინ რაიხი — 1,32 წამს.

რაიხმა ვერც მეორე ცდაზე ივარგა და საბოლოო ჯამში მე-4 ადგილი დაიკავა. მილერმა მეორე დაშვებისას მეორე შედეგი აჩვენა და ჯამშიც მეორე იყო — პალანდერმა, ვინც ტრასაზე ბოლოს გამოდიოდა, ზედმეტი რისკის გარეშე ჩაისრიალა და ჯამში მილერს ნახევარი წამი მოუგო. მეორე ცდაზე საუკეთესო დრო წლევანდელი სეზონის აღმოჩენამ, კანადელმა ჯონ კუჩერამ აჩვენა და ამის წყალობით მეხუთე ადგილზე ხომ გავიდა, საერთო ჩათვლაშიც ასევე მე-5 პოზიციაზე აინაცვლა.

გენერალურ კლასიფიკაციას კვლავ ნორვეგიელი აქსელ ლუნდ სვინდალი ლიდერობს, ვინც კვირას მეათე იყო. მეორე ადგილზე შვეიცარიელი დიდიე კუშეა, ხოლო მესამეზე — მილერი.

კაცები

გიგანტური სლალომი

1. კალე პალანდერი (ფინეთი)	2წთ.28,82წმ. (1.13,97+1.14,85)
2. ბოდე მილერი (აშშ)	2.29,33 (1.15,67+1.13,66)
3. დიდიე დეფაგო (შვეიცარია)	2.29,41 (1.15,57+1.13,84)
4. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია)	2.29,66 (1.15,29+1.14,37)
5. ჯონ კუჩერა (კანადა)	2.29,70 (1.16,36+1.13,34)

საერთო ჩათვლა

1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია)	386 ქულა
2. დიდიე კუშე (შვეიცარია)	363
3. ბოდე მილერი (აშშ)	340
4. პეტერ ფილი (იტალია)	258
5. ჯონ კუჩერა (კანადა)	251

მსოფლიოს თასი

ინგელბერგი (შვეიცარია). 16 — 17 დეკემბერი

გაფრენა ანგელოზების მთიდან

ანდერს იაკობსენი

AFP ინგელბერგიდან

თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელთა შორის, როგორც ჩანს, თაობათა ცვლა ხდება და ავანსცენაზე ახალი სახელები გამოდიან. 16 წლის ავსტრიელ ვუნდერკინდ გრეგორ შლირენცაუერზე არაერთხელ ვთქვით — ვარსკვლავიჭუნამ წელს უკვე ორი გამარჯვების მოპოვება მოასწრო და კვირას, შვეიცარიული ინგელბერგის დიდ ტრამპლინზე პირველი საკარიერო ეტაპი მოიგო 20 წლის ნორვეგიელმა ანდერს იაკობსენმა, ვისი სახელიც აგრეთვე ამ სეზონში გახდა ცნობილი.

„ანგელოზთა მთაზე“ მდებარე ტრამპლინიდან იაკობსენმა ორი დიდებული ნახტომი შეასრულა 138 და 137,5 მეტრებზე და დიდი უპირატესობით დაიკავა პირველი ადგილი. შლირენცაუერი ამჯერად მესამე იყო, ხოლო მეორეზე შვეიცარიელი სიმონ ამანი გავიდა, ვისაც ოთხწლიანი დუმილის შემდეგ რენესანსი აქვს და იმ დროს იხსენებს, სოლტ ლეიკ სიტის 2002 წლის ოლიმპიადაზე ორი ოქროს მედალი რომ მოიპოვა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელის, იაკუბ იანდას მეხუთე ადგილი, რომელიც ტიტულიანი ჩეხისთვის საუკეთესოა ახალ სეზონში, თუმცა საერთო ჩათვლაში იანდა ჯერ, ოდენ მეთოთხმეტეა. ასევე უკან, მე-11 ადგილზეა ბოლო წლების კიდევ ერთი ლიდერი, ფინელი იანე აჰონენი. პირველ სამეულში კი, თანაც გვარიანი უპირატესობით, სწორედ „ანგელოზების მთის“ პრიზიორები არიან — ამანი, იაკობსენი და შლირენცაუერი.

დიდი ტრამპლინი (K-120)

1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია)	280,9 ქულა (138,0მ.+137,5მ.)
2. სიმონ ამანი (შვეიცარია)	266,4 (130,0+138,0)
3. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია)	262,3 (131,5+134,5)
4. მარტინ კოხი (ავსტრია)	257,5 (131,0+134,0)
5. იაკუბ იანდა (ჩეხეთი)	257,4 (131,0+132,0)

საერთო ჩათვლა

1. სიმონ ამანი (შვეიცარია)	360 ქულა
2. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია)	346
3. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია)	310
4. ანდრიას კიუტელი (შვეიცარია)	206
5. ადამ მალიში (პოლონეთი)	176

მსოფლიოს თასი

რამზაუ (ავსტრია). 16 — 17 დეკემბერი

სპრინტი მოანისაა

ავსტრიულმა რამზაუმ გასულ უქმეებზე სათხილამურო ორჭიდის, მეორენაირად კი ჩრდილოეთის კომბინაციის მსოფლიოს თასის ეტაპს უმასპინძლა და, თუ შაბათს მასპინძელმა კრისტოფ ბილერმა იმარჯვა, კვირას საუკეთესო ნორვეგიელი მაგნუს-ჰოვდალ მოანი იყო და გენერალურ კლასიფიკაციაშიც სწორედ ეს უკანასკნელი დაწინაურდა.

თუ შაბათს ჯერ თხილამურებით 10 კილომეტრზე რბოლა იყო მასობრივი სტარტით და მერე — ტრამპლინიდან ხტომა, კვირას, პირიქით — ორჭიდელებმა სპრინტად წოდებულ სახეობაში იასპარეზეს — ერთი ნახტომი ტრამპლინიდან და შემდეგ 7,5 კილომეტრი გამოდევნებით რბოლა.

ტრამპლინის შემდეგ ისევ ბილერი ლიდერობდა, ხოლო მოანი მე-8 იყო, მაგრამ ნორვეგიელმა დიდებულად იმუშავა თხილამურებით და პირველობა არავის დაანება. ბილერი მხოლოდ მეექვსე იყო ფინიშთან — მოანის გარდა, მას ფრანგმა ლამი შაპუიმ, გერმანელმა აკერმანმა, ფინელმა კოივურანტამ და კიდევ ერთმა ნორვეგიელმა ტანდემ გაასწრეს.

რამზაუში უხეიროდ იასპარეზა მსოფლიოს თასის მრავალგზის მფლობელმა, ფინელმა ჰანუ მანინენმა, ვინც კვირას, ტრამპლინზე ნაჩვენები 28-ე შედეგის შემდეგ თხილამურებით ბარაქიანად კი ისრიალა, მაგრამ მე-10 ადგილზე მაღლა ვერ ავიდა.

AFP რამზაუდან

სპრინტი (ტრამპლინი K-90+7,5კმ. თხილამურებით რბოლა)

1. მაგნუს-ჰოვდალ მოანი (ნორვეგია)	16წთ.53,3წმ. (მე-8 ტრამპლინზე)
2. ჟეზომ ლამი შაპუი (საფრანგეთი)	+0,7წმ. (3)
3. რონი აკერმანი (გერმანია)	+1,2 (5)
4. ანსი კოივურანტა (ფინეთი)	+1,8 (6)
5. პეტერ ტანდე (ნორვეგია)	+4,2 (7)

საერთო ჩათვლა

1. მაგნუს ჰოვდალ მოანი (ნორვეგია)	329 ქულა
2. კრისტო ბილერი (ავსტრია)	316
3. ანსი კოივურანტა (ფინეთი)	279
4. ჟეზონ ლამი შაპუი (საფრანგეთი)	275
5. ჰანუ მანინენი (ფინეთი)	235

რეგულარული ჩემპიონატი

17 დეკემბერი

სენტ ლუისი 1:2 ნეშვილი

1:0 0:0 0:1 0:1 (ოვერტაიმი)

1:0 სტემპნიაკი (15), 1:1 ჰამხუსი (56), 1:2 ტიმონენი (64)

რეინჯერსი 1:6 ნიუ ჯერსი

0:1 1:2 0:3

0:1 ელიაში (20), 0:2 ლანგენბრუნერი (27), 1:2 პრუხა (28), 1:3 ბრილინი (31), 1:4 ბრილინი (42), 1:5 ელიაში (55), 1:6 პარიზე (59)

ჩიკაგო 2:1 კოლორადო

1:0 1:1 0:0

1:0 რუუტუ (15), 1:1 მაკლინი (27), 2:1 ოკოინი (33)

ნიუ ჯერსიმ რეინჯერსზე ჯერი მიუშვა

უილბლო უქმეები ჰქონდა „ნიუ იორკ რეინჯერსს“ — გუნდმა გასულ შაბათ-კვირას უსაზიზღრესად ითამაშა და ორ შეხვედრაში 15 შაიბა მიიღო.

„ტორონტოსგან“ 9 შაიბით დაცხრილული „რეინჯერები“ ამჯერად მშობლიურ „მედისონ სკვერ გარდენში“ გაილახნენ. კანადელებთან განადგურების შემდეგ ტომ რენიმ გუნდში რამდენიმე ცვლილება მოახდინა, მათ შორის, სკამზე დასვა ძირითადი მეკარე ჰენრიკ ლუნდკვისტი და მის ადგილას კევინ ვიკსი გაამწესა. მაგრამ „ნიუ იორკს“ მაინს არაფერმა უშველა — მასპინძლების ხარჯზე უკვე „ნიუ ჯერსიმ“ გაილაღა და ვიკსი 6 ჯერ დაამწუხრა. „ეშმაკებს“ ამჯერად კაპიტანი პატრიკ ელიაში და სერგეი ბრილინი წინამძღოლობდნენ, რომლებმაც დუბლებით გამოიჩინეს თავი.

გამარჯვების გოლით დაუბრუნდა ყინულს „ჩიკაგოს“ კაპიტანი ადრიან აკინი, რომლის შორიდან უძლიერესად გასროლილმაც „ბლეკჰოუქს“ „კოლორადო“ დაამარცხებინა.

„ადრიანი გუნდს ძალიან აკლდა კარგია, რომ დაბრუნდა“ — ლაკონური იყო ნამატჩევს „ჩიკაგოს“ დამრიგებელი დენი სავარი, რომლის ხელმძღვანელობითაც გუნდმა მხოლოდ ერთხელ წააგო ძირითად დროში.

ასევე კაპიტანმა და მცველმა მოუტანა გამარჯვება „ნეშვილსაც“, ოღონდ კიმო ტიმონენმა თავი ოვერტაიმში გამოიჩინა. „მტაცებლების“ მიგებათა სერიამ „სენტ ლუისთან“ აგერ უკვე თერთმეტ მატჩს მიუკაკუნა.

კახა ლომაჯვილი

აღმოსავლეთ კონფერენცია

ატლანტიკი	თ	მ	წ	სწ	შ	ქ
რეინჯერსი	34	18	12	4	107:109	40
ნიუ ჯერსი	32	18	12	2	83:79	38
პიტსბურგი	32	15	12	5	106:107	35
აილენდერსი	31	16	12	3	98:90	35
ფილადელფია	32	8	20	4	77:124	20
ჩრდილო-აღმოსავლეთი						
ბუფალო	32	24	6	2	127:93	50
მონრეალი	32	19	8	5	101:89	43
ტორონტო	34	16	13	5	113:114	37
ოტავა	34	17	16	1	111:99	35
ბოსტონი	30	15	13	2	89:107	32
სამხრეთ-აღმოსავლეთი						
ატლანტა	34	18	10	6	107:104	42
ვაშინგტონი	32	15	10	7	102:108	37
კაროლინა	34	16	14	4	105:109	36
ტამპა	33	14	17	2	105:107	30
ფლორიდა	35	11	18	6	91:116	28

დასავლეთ კონფერენცია

ცენტრალური	თ	მ	წ	სწ	შ	ქ
ნეშვილი	33	12	8	3	110:85	47
დეტროიტი	31	19	8	4	86:69	42
ჩიკაგო	32	14	13	5	84:94	33
კოლუმბუსი	31	11	17	3	80:89	25
სენტ ლუისი	32	7	19	6	71:112	20
ჩრდილო-დასავლეთი						
ედმონტონი	32	17	13	2	87:83	36
კალგარი	30	16	11	3	88:71	35
ვანკუვერი	33	17	15	1	76:85	35
კოლორადო	33	16	15	2	104:91	34
მინესოტა	32	16	14	2	89:88	34
წყნარი ოკეანე						
ანაჰაიმი	35	25	4	6	126:85	56
სან ხოსე	34	24	10	0	103:73	48
დალასი	33	21	12	0	89:74	42
ლოს ანჯელესი	34	12	17	5	95:116	29
ფინიქსი	32	12	19	1	81:121	25

თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები

სიდნი კროსბი

გომბარდირებები: სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 52 (16+36); იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 47 (14+33); ჯეისონ სპეცა (ოტავა) 43 (19+24); ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი) 43 (19+24); ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 43 (22+21); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 43 (20+23); მარიან ჰოსა (ატლანტა) 42 (22+20); ჯერომ იგინლა (კარგარი) 41 (20+21); ვინსენ ლეკავალიე (ტამპა) 41 (18+23); მაიკლ ნიულანდერი (რეინჯერსი) 40 (12+28); მარტინ სტრაკა (რეინჯერსი) 39 (17+22); დენი ჰითლი (ოტავა) 39 (19+20); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 39 (9+30); დანიელ ბრიერი (ბუფალო) 38 (14+24).

გოლეადორები: ბრენდან შენაჰენი (რეინჯერსი), ოვეჩკინი, ჰოსა 22-22; იგინლა, სენ ლუი 20-20; სელიანე, ჰითლი, დერსი ტაკერი (ტორონტო), სპეცა 19-19; ილია კოვალჩუკი (ატლანტა), ლეკავალიე, ტომაშ ვანეკი (ბუფალო) 18-18; კრის დრური (ბუფალო), ერიკ სტაალი (კაროლინა), სტრაკა, ალექსანდრ ფროლოვი (ლოს ანჯელესი) 17-17).

ასისტენტები: კროსბი 36; იაგრი 33; ტორნტონი 30; კრის პრონგერი (ანაჰაიმი) 29; მარკ სავარი (ბოსტონი), ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი), ნიულანდერი 28-28; როდ ბრინდამორი (კაროლინა), ვიაჩესლავ კოზლოვი (ატლანტა) 26-26; პოლ კარია (ნეშვილი) 25.

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 23; ტომ პრეისინგი (ოტავა) 23; პრონგერი 19; კროსბი 18; ვანეკი, იაგრი, სელიანე 17-17; კრის კუნიცი (ანაჰაიმი), რობერტ ლანგი (დეტროიტი) 16-16; მეტიუ ლომბარდი (კალგარი), რომან ჰამრლიკი (კალგარი), კენ კლიი (კოლორადო) 15-15.

იქ გავშლი ფრთებს

ამერიკის სნოუბორდის დიდი პრიზი. კოლორადო. კაცების ნახევარჩიბუხა და ცაში გაგმოკიდებული გერმანელი ტობიას სტრაუსი. კაია.

AFP ბრეკინრიდგიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP პარიზიდან

ფრანგული გრაცია

AFP სანკტ პეტერბურგიდან

ეს თქვენთვის აქამდეც ნაცნობი ფრანგული წყვილია: იზაბელ დელაბერი და ოლივიე შონჯელდერი. სანკტ პეტერბურგში დიდი ფინალის გათამაშებაზე რუსები მძავრობდნენ, თუმცა, ესენიც მეტად ლამაზები იყვნენ.

რბოლათა წინ

სენ დენიში, პარიზის გარეუბანში რალისტთა „ჩემპიონთა რეისი“ გახურებულა. ორი განთქმული ჩემპიონი კი გოგ ოშკებთთან იწონებს თავს. ერთი სებასტიან ლოებია (მარცხნივ) მსოფლიოს რალის ჩემპიონი, მეორე კი „ჩემპ ქარის“ ჩემპიონი — სებასტიან პურდო.

AFP თიუსტედ ლიანდიდან

ორი ტაიგერი

ტაიგერ ვუდსმა კალიფორნიაში გოლფის „ვორლდ ჩელენჯი“ მოიგო და იქაური პრიზი, სამყაროს მპყრობი ვეფხვიც დაითავისა. რახან ტაიგერ ინგლისურად ვეფხვს ნიშნავს, ერთბაშად ორი ვეფხვი გამოვიდა.

სამხრეთული დახეთქება

AFP ატლანტადან

გადააფრინდა ეს ატლანტელი ბიჭი იმ დალასელ ბიჭს და ბურთი დაათაჩდაუნა. დიახ, ჯასტინ გრიფინი ისე დაეხეთქა ბოლო ხაზს იქით, რომ თქვენი მოწონებული. სამხრეულ ჭიდილში ასეთ სურათებს განსაკურთრებული ხიბლი აქვს. მცველი ტერენს ნიუმანიც მაგარი ვინმეა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბარო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიანი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00